


რ.ხეცურიანი, ზ.ხელაძე, ნ.გოგებაშვილი, გ.ბეჟია, ბ.კილასონია,
რ.შენგელია, დ.წვერავა, ვ.მეუნარგია, ო.ხარძეიშვილი, შ.ჯაფარიძე,
გ.გოკიელი, ნ.ლომიძე, დ.ტატიშვილი, რ.კუტუბიძე, პ.კინტრაია,
მ.ზოდელავა, ნ.ემუხვარი, ლ.მანაგაძე, ზ.ხელაძე, გ.თომაძე, ა.ქისტაური,
ყ.ფაღავა, ა.ალადაშვილი, ა.ცალუღელაშვილი, ფ.სვანიძე, დ.გაჩეჩილაძე,
ნ.კინტრაია, ი.გოცაძე.

R.Khetsuriani, Z.Kheladze, N.Gogebashvili, G.Becaia, B. Kilasonia, R.Shengelia,
D.Tsverava, V.Meunargya, O.Khardseishvili, Sh.Djaparidze, G.Gokieli,
N.Lomidze, D.Tatishvili, R.Kutubidze, P.Kintraia, M.Zodelava,
N.Emuxvary, LManagadze Zv.Kheladze, G.Tomadze, A.Kistaury, K.Fagava,
A.Aladashvily, A.Tsalugelashvily, G.Svanidze, D.Gachechiladze, N.Kintraia,
I.Gotsadze

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემია
The Georgia Academy of Medical Sciences



თბილისი, საქართველო
Tbilisi
2018



აკადემიის ოფისი
Academy Office



აკადემიის ვესტიბიული
The academy is vest

ეძღვნება საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის გარდაცვლილ წევრთა ხსოვნას.
Is dedicated to the memory of deceased members of the Georgian Academy of Medical Sciences.



ამირან-პრომეთეს ცეცხლი: ენერჯია ცივილიზაციისათვის

Amiran.s-Promethe,s Fire: Energy for civilization

ზ.ხელაძე

Z.Kheladze

(ზეთი-Oil,1,7X1,2მ)

სარჩევი

Contents

* საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემია The Georgian Academy of Medical Sciences.....	6
* საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი წევრები Founding Members of the Academy of Medical Sciences of Georgia.....	12
* საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი კრება The founding council of the Georgian Academy of Medical Sciences.....	15
* საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წესდება Regulations of The Georgian Academy of Medical Sciences.....	23
* დებულება საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიაში არჩევნების ჩატარების შესახებ Statement About elections of The Georgian Academy of Medical Sciences.....	29
* საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის გარდაცვლილი წევრები Dead Members of the Academy of Medical Sciences of Georgia.....	34
* საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ამჟამინდელი წევრები და მათი ბიოგრაფიული მონაცემები. Current members of the Georgian Academy of Medical Sciences and their biographical data.....	39
* საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის მოღვაწეობა Activities of the Academy of Medical Sciences of Georgia.....	163
* მსოფლიოს საერთაშორისო აღიარების მქონე აკადემიების და მათთან ასოცირებული ორგანიზაციების ჩამონათვალი. List of academies with international recognition and organizations associated with them. of the World.....	202

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემია

The Georgian Academy of Medical Sciences

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემია დაფუძნდა 1994 წელს. ეს იყო ალტერნატიულ საფუძველზე შექმნილი პირველი სამეცნიერო აკადემია ყოფილ საბჭოთა კავშირში და მისი ჩამოყალიბება შესაძლებელი გახდა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მმართველობის დროს. თუმცა აკადემიის შექმნის მიზნით მუშაობა დაწყებული იყო ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ბოლო წლებში, რომლის დროსაც პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვის მიერ განხორციელებული რეფორმების შედეგად შესაძლებელი გახდა სამეცნიერო აკადემიების ჩამოყალიბება სახელმწიფო სტრუქტურების გარეთ.

აკადემია წარმოადგენს თვითმმართველ, თვითდაფინანსებად, არაკომერციულ და არასამთვრობო ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნია საკუთარი წესდება და საარჩევნო დებულება. აკადემია დააფუძნა საქართველოს სხვადასხვა სამედიცინო სპეციალობებში მოღვაწე საზოგადოების მიერ აღიარებულმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის და პროფესორის წოდების მქონე 29 ექიმმა. მათ შორის იყვნენ საქართველოს წამყვანი სპეციალისტები როგორც ფუნდამენტური ისე კლინიკური მედიცინის სფეროდან. სახელდობრ აკადემიის დამფუძნებელთა შორის იყო იმუნოლოგი, მორფოლოგი, ფიზიოლოგი, პათოლოგი, თერაპევტი, ქირურგი, პედიატრი, კრიტიკული მედიცინის და სხვა სპეციალობების ექიმი. დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი გახდა აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა ნაციონალური აკადემიის შემადგენლობაში მყოფი საექიმო სპეციალობის მქონე ყველა აკადემიკოსი. აკადემიის დამფუძნებელი კრების მუშაობას წარმართავდა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი. სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები და სხვა ოფიციალური პირები. საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის შექმნა დალოცა საქართველოს პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემია დარეგისტრირდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში. დღემდე საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი იყო სხვადასხვა პროფესიის 82

ექიმი. მათგან გარდაცვლილია 54, ხოლო დღესაც აგრძელებს მოღვაწეობას 28 წევრი.

აკადემიის ყოველდღიური საქმიანობა წარმართება საკუთარი წესდების, ხოლო ახალ წევრთა არჩევა წარმოებს ასევე მის მიერ დამტკიცებული საარჩევნო დებულების მიხედვით. აკადემიის ეგიდით ინგლისურ ენაზე გამოდის რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო აღიარების მქონე ჟურნალი „Critical Care & Catastrophe Medicine“ და ასევე აკადემიის ეგიდით ქართულ ენაზე გამოდის რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნალი “საქართველოს ქირურგიის მაცნე”. საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემია ყოველწლიურად ატარებს თბილისის საერთაშორისო სიმპოზიუმს: „ახალი ნაბიჯები კრიტიკულ მედიცინაში“, ასევე აკადემია ყოველწლიურად ატარებს საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიებს და სხვა სამეცნიერო ღონისძიებებს. აკადემიაში არსებობდა ფუნდამენტური მედიცინის, თერაპიის, ქირურგიის და სამედიცინო ეკოლოგიის განყოფილებები. ამჟამად არსებობს თეორიული და კლინიკური მედიცინის განყოფილებები. აკადემიის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს აკადემიური საბჭო (პრეზიდენტი) რომლის შემადგენლობაში შედიან პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, სწავლული მდივანი და განყოფილებების ხელმძღვანელები. აკადემიის დებულებით საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი შესაძლოა გახდეს საქართველოს სამედიცინო სამსახურში მოღვაწე მედიცინის დოქტორის ხარისხის მქონე პროფესორი. რომელმაც შექმნა საერთაშორისოდ აღიარებული ახალი სამეცნიერო მიმართულება მედიცინაში. აკადემიის წევრის არჩევა ხდება აკადემიის საერთო კრების მიერ საარჩევნო დებულების შესაბამისად. ამასთან საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობა არ შეიძლება აღემატებოდეს 50 წევრს.

აკადემიის პირველი პრეზიდენტი იყო პროფესორი ზაალ კახიანი, პირველი ვიცე-პრეზიდენტი პროფესორი გივი დუმბაძე, ხოლო მის შემდეგ ვიცე-პრეზიდენტები იყვნენ პროფესორი ვლადიმერ ბახუტაშვილი და პროფესორი გურამ ტატიშვილი, რომელიც მანამდე ქირურგიული განყოფილების ხელმძღვანელი იყო ამჟამად აკადემიის პრეზიდენტია პროფესორი რამაზ ხეცურიანი-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადამიანის ნორმალური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ვიცე-პრეზიდენტია პროფესორი ზურაბ ხელაძე-საქართველოს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის დირექტორი. რომელიც მანამდე აკადემიის პირველი სწავლული მდივანი იყო. თეორიული მედიცინის განყოფი-

ლების ხელმძღვანელი დაარსებიდან დღემდე პროფესორი ნოდარ გოგებაშვილია, ხოლო თერაპიული კლინიკის ხელმძღვანელები სხვადასხვა დროს იყვნენ პროფესორი ირაკლი ჭუმბურიძე და პროფესორი ილია ზედგენიძე. ასევე ქირურგიულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა პროფესორი რევაზ ვეფხვაძე, სამედიცინო ეკოლოგიის განყოფილებას კი პროფესორი კიაზო ნადარეიშვილი. კლინიკური მედიცინის განყოფილებას ხელმძღვანელობდა პროფესორი რევაზ გაგუა და მისი გარდაცვალების გამო ამჟამად ეს თანამდებობა ვაკანტურია. საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემია 2013 წელს იტალიის დედაქალაქ, რომში, მიღებული იქნა მსოფლიოს აკადემიათაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრობის კანდიდატად, ხოლო 2016 წელს სამხრეთ აფრიკის ქალაქ ჰერმენიუსში ამ ორგანიზაციის გენერალური ანსამბლეს მიერ არჩეული იქნა სრულუფლებიან წევრად.

The Georgian Academy of Medical Sciences has been founded in 1994. It was the first non-state scientific academy in the former Soviet Union and its establishment was made possible by President Eduard Shevardnadze's administration. However, in order to create an academy, the work began in the last years of the Soviet Union, during which the reforms implemented by President Mikheil Gorbachev made possible the formation of scientific academies outside the state structures..

Georgian Academy of Medical Sciences has been registered in the Ministry of Justice of Georgia. Until now, 82 doctors of various professions were members of the Academy of Medicine of Georgia. 54 of them are dead and 28 members continue to work. The daily activities of the academy will be conducted by their own charter and the new members are elected as well as the election provisions approved by him. Academy under the auspices of the English language comes out and reviewing international recognition of the magazine "Critical Care & Catastrophe Medicine" and also under the auspices of the Academy of the Georgian language coming out and reviewing journal "Georgian Surgery Proceedings," The Georgian Academy of Medical Science every year organization Tbilisi International Symposium: "New Steps in Critical Care & Catastrophe Medicine", as well as the Academy every year in spring and autumn sessions and other scientific activities. There was a Academy fundamental medicine, therapy, surgery and medical ecology departments. Now there is a theoretical and clinical medicine departments. Academy of daily activities had Academic Council (Prezidumi), which includes the President, Vice- President, Scientific Secretary and Heads of Departments. Regulations of the Academy of Medical Sciences of Georgia Academy members may be of medical service, working with Professor of Medicine doctoral degree. Which also created an internationally recognized new scientific direction in medicine. The academic member is selected by the General Assembly of the Academy in compliance with the

election provision. Besides, the composition of the Academy of Medical Sciences of Georgian Medicine can not exceed 30 members.

The first President of the Academy was Professor Zaal Kakhiani, First Vice President Professor- Givi Dumbadze and later Vice-Presidents was Professor Vladimir Bakhutashvili and Professor Guram Tatishvili, who before that was head of the Surgical Department. Currently President is Professor Ramaz Khetsuriani - Head of Human Normal Anatomy Department of Tbilisi State Medical University, Vice-President is Professor Zurab Kheladze - Director of Georgian Institute of Critical Care Medicine, which before that was the first Learned Secretary of the Academy. Theoretical Medicine Department since its inception head Professor Nodar gogebashvili and the heads of the Therapeutic Department at the different times was Professor Iracly Chumburidze and Professor Ilia Zedgenidze. Also the Surgical Department was headed by Professor Revaz Vepkhvadze and Medical Ecology Department - Professor Kiazio Nadareishvili. Clinical Medicine Department headed by Professor Revaz Gagua and after his death now this position is vacance.

Georgian Academy of Medical sciences 2013 in The Italysan Capital Rome was adopted as a candidate for membership of the World Interacademy Partnershyp and in 2016 in the South African city Hermenius diuring the General Assemvly was elected as a full member of this organisation.



მიხეილ გორბაჩოვი, საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი, რომლის დროსაც შესაძლებელი გახდა მეცნიერებათა აკადემიების სახელმწიფო სტრუქტურების გარეთ შექმნა.

Mikhail Gorbachev, the first and last president of the Soviet Union, at which time it became possible creation of academies outside the state structures.

ზ.ხელაძე

Z.Kheladze

(ზეთი-Oil,1,7X1,2m)



ედუარდ შევარდნაძე-საქართველოს პრეზიდენტი,რომლის დროსაც და-
ფუძნდა საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემია

**Eduard Shevardnadze - President of Georgia, during which time was established
The Academy of Medical Sciences of Georgia**

ზ.ხელაძე,

Z.Kheladze

(ზეთი-Oil,1,7X1,2m)

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის
დამფუძნებელი წევრები
Founding Members of the Academy of Medical Sciences of Georgia

1. ზაალ კახიანი- პრეზიდენტი, ქირურგი, გარდაიცვალა.
Zaal Kakhiani- President, Surgery, Died.
2. გივი დუმბაძე- ვიცე-პრეზიდენტი, პათოლოგია, გარდაიცვალა.
Givi Dumbadze- Vice-President, Pathology, Died.
3. ზურაბ ხელაძე-სწავლული მდივანი, კრიტიკული მედიცინა.
Zurab Kheladze-Learned Secretary, Critical Care Medicine.
4. ნოდარ გოგებაშვილი- განყოფილების ხელმძღვანელი, იმუნოლოგია.
Nodar Gogebashvili- Hed of Department, Immunology.
5. ირაკლი ჭუმბურიძე- განყოფილების ხელმძღვანელი, თერაპევტი, გარდაიცვალა.
Irakli Chumburidze, Head of Department, Therapy, Died.
6. გაიოზ ვასაძე- ექსპერტთა საბჭოს ხელმძღვანელი, პათოლოგი გარდაიცვალა.
Gaioz Vasadze- haed of the Council of Experts, Pathology, Died.
7. რევაზ ვეფხვაძე- რენტგენოლოგია და რადიოლოგია, განყოფილების ხელმძღვანელი, გარდაიცვალა.
Revaz Vepkhvadze- Rentgenologist & Radiologist, head of department, Died.
8. ლევან ჩარკვიანი, ონკოლოგი, გარდაიცვალა.
Levan Charkviani, Oncology, Died.
9. ეთერი ბოცვაძე, ინფექციონისტი, გარდაიცვალა.
Etery Bocvadze, Infectionyst, Died.
10. ნინო ჯავახიშვილი, მორფოლოგი, გარდაიცვალა.
Nino Javakhishvili, Morfology, Died.
11. რამაზ ხეტურიანი, მორფოლოგი.
Ramaz Khetsuriani, Morphology.
12. ბაადურ რაჭველიშვილი, თერაპია, გარდაიცვალა.
Baadur Rachvelishvili, Therapy, Died.
13. ილია ზედგინიძე, ჰემატოლოგია, გარდაიცვალა.
Ilia Zedginidze, Hematology.
14. უჩა გაბუნია, პათოლოგი, გარდაიცვალა.
Ucha Gabunia, Pathology, Died.
15. ნუგზარ ტატიშვილი, თერაპია, გარდაიცვალა.
Nugzar Tatishvili, Therapy, Died.

16. ალექსანდრე სიხარულიძე, ფიზიოლოგია, გარდაიცვალა.
Alecsander Sykharulidze, Physiology, Died.
17. ლავრენტი მანაგაძე, უროლოგი.
Lavrenty Managadze, Urology.
18. გია გოციელი, ქირურგი.
Gia Gocieli, Surgeon.
19. ვლადიმერ ბახუტაშვილი, ვირუსოლოგი, გარდაიცვალა.
Vladimer Bakhutashvili, Virusology, Died.
20. ლუბა შეჭირული, დერმატოლოგი, გარდაიცვალა.
Luba Shetsiruly, DERNATOLOGY, Died.
21. თამარ დეკანოსიძე, პათოლოგი, გარდაიცვალა.
Tamar decanosidze, Pathology, Died.
22. ფრიდონ თოდუა, რენტგენოლოგ-რადიოლოგი, გარდაიცვალა.
Frydon Todua, Rentgenologist & Radiologist, Died.
23. რევაზ გურგენიძე, ოფთალმოლოგი, გარდაიცვალა.
Revaz Gurgenidze, Optalmology, Died.
24. ვახტანგ ქავთარაძე, თერაპია, გარდაიცვალა.
Vaxtang Kavtaradze, Therapy, Died.
25. თენგიზ ზაქარიაძე, თერაპია, გარდაიცვალა.
Tengiz Zakariadze Therapy, Died.
26. ავთანდილ ლაჭყეპიანი, ნევროლოგი, გარდაიცვალა.
Avtandil Lachkepiani Neurologhy, Died.
27. ვლადიმერ გაბაშვილი, ნევროლოგი, გარდაიცვალა.
Vladimer Gabashvili, Neurologhy, Died.
28. ნიკოლოზ ხატიაშვილი, თერაპია, გარდაიცვალა.
Nycoloz khatiashvili, Therapy, Died.
29. ვაჟა ოკუჯავა, ფიზიოლოგი, გარდაიცვალა.
Vaja Ocujava, Phisiology, Died.



საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი წევრები (მარცხნიდან მარჯვნივ)

პირველი რიგი: ნოდარ გოგებაშვილი, ზაალ კახიანი, ლავრენტი მანაგაძე, ვლადიმერ ბახუტაშვილი

მეორე რიგი: ნიკო ხატიაშვილი, ლევან ჩარკვიანი, ლუბა შეწირული, ეთერი ბოცვაძე, ნინო ჯავახიშვილი, ვაჟა ოკუჯავა, ბაადურ რაჭველიშვილი, ზურაბ ხელაძე

მესამე რიგი: გივი დუმბაძე, ირაკლი ჭუმბურიძე, ილია ზედგენიძე, უჩა გაბუნია, ვახტანგ ქავთარაძე, ავთანდილ ლაჭყევიანი, გია გოციელი, რამაზ ხეცურიანი.

მეოთხე რიგი (მარცხნიდან მარჯვნივ): რევაზ ვეფხვაძე, ალექსანდრე სიხარულიძე, გაიოზ ვასაძე, ვლადიმერ გაბაშვილი, ნუგზარ ტატიშვილი, თამარ დეკანოსიძე, გიგლა იოსელიანი, ფრიდონ თოდუა, რევაზ გურგენიძე

Founding Members of the Academy of Medical Sciences of Georgia (left to right):

The first row: Nodar Gogebashvili, Zaal Kakhiani, Lavrenty Managadze, Vladimer Bakhutashvili.

The second row: Nico khatiashvili, Levan Charkviani, Luba Shetsiruli, Etery Botsvadse, Nino Javachishvili, Vaja Ocujava, Baadur Rachvelishvili, Zurab Kheladze

The third row: Givi Dumbadze, Iraclly Chumburidze, Ilya Zedgenidse, Ucha Gabunia, Vakhtang Kavtaradze, Avtandil Lachkepiani, Gia Gocieli, Ramas Khetsuriani, The

fourth row(left to raight): Revaz Vepkhvadze, Alecsander Sycharulidze, Gaioz Vsadze, Vladimer Gabashvili, Nugzar Tatishvili, Tamar Decanosidze, Fridon Todua, Reaz Gurgenidze.

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი კრება

The Founding Council of the Georgian Academy of Medical Sciences

დღის წესრიგი - 27.05.1994

1. ზაალ კახიანი-საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის მიზნები და ამოცანები
2. გივი დუმბაძე-საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელ წევრთა უფლებამოსილობის ცნობის შესახებ
3. ზურაბ ხელაძე - საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წესდება და არჩევნების დებულება
4. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი-საქართველოს მთავრობა მიესალმება მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის შექმნას
5. საქართველოს პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II- საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია წარმატებებს უსურვებს საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის მუშაობას
6. აკადემიის წევრთა უფლებამოსილების ცნობა

Agenda-27.05.1994

- 1.Zaal Kakhiani -Goal and Objectives of Georgian Academy of Medical Sciences
- 2.Giiv Dumbadze - Recognition of the Authority of the Founding Members of the Academy of Medical Sciences of Georgia
3. Zurab Kheladze- Statute of the Georgian Academy of Sciences and the Regulation of Elections
4. Ministry of Health Care of Georgia Irakli Menagarishvili - Government of Georgia welcomes establishment of Academy of Medical Sciences of Georgia
5. Patriarch of Georgia His Holiness and Beatitude Iliia II - Georgian Orthodox Church Wants Success of the Georgian Academy of Medical Sciences
6. Certification of the members of the academy



დამფუძნებელი კრება - (პირველი რიგი მარცხნიდან მარჯვნივ): აკადემიის პრეზიდენტი ზაალ კახიანი, საქართველოს კათალიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ირაკლი მენაღარაშვილი.

The founding council (left to right)-Zaal Kaxiani - First President of Academy, Patriarch of Georgia His Holiness and n Beatitude Ilia II, The Ministry of Health of Georgia IracII Menagarishvili




დამფუძნებელი კრება საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ირაკლი მენაღარაშვილი

The founding council-The Ministry of Health of Georgia IracII Menagarishvili



დამფუძნებელი კრება (მარცხიდან მარჯვნივ) - აკადემიის წევრი ლავრენტი მანაგაძე და აკადემიის პირველი პრეზიდენტი ზაალ კახიანი
The founding council (left to right) -Member of Academy Lavrenty Managadze and first President of Academy Zaal Kaxiani



ზაალ კახიანი- აკადემიის პირველი პრეზიდენტი
Zaal Kaxiani- First President of Academy

დაიბადა 1927 წლის 5 ივლისს, საქართველოში მეცნიერული და პრაქტიკული ქირურგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის პროფესორ ნიკოლოზ კახიანის და ცნობილი მეან-გინეკოლოგის ტერეზა (ტეკა) მაჭავარიანის

ოჯახში. 1851 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და სწავლა განაგრძო საქართველოს ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1954 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1967 წელს – სადოქტორო დისერტაცია. ის 1954 წლიდან მუშაობდა თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სწავლულ მდივნად, ხოლო 1960 წლიდან ქირურგიული ფაკულტეტის დეკანად და გადაუდებელი ქირურგიის კათედრის ასისტენტად, 1967 წლიდან კი იმავე კათედრის გამგედ. 1962 წელს ის ინიშნება საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილედ, ხოლო 1989 წელს – ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორად. ზაალ კახიანი 1994 წელს არჩეული იყო საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პირველ პრეზიდენტად, რომლის ჩამოყალიბებაში მას უაღრესად დიდი წვლილი აქვს შეტანილი. ზაალ კახიანი იყო 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის მონოგრაფიების და სახელმძღვანელოების, აგრეთვე 5 გამოგონებისა და 4 რაციონალური წინადადების ავტორი, ასევე მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაცულია 8 სადოქტორო და 12 საკანდიდატო დისერტაცია. მის ძმასთან, პროფესორ საულ კახიანთან ერთად, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო პრემია. ის გატაცებული იყო მხატვრობით და მაღალპროფესიულ დონეზე აქვს შესრულებული მრავალი ფერწერული ტილო. ასეთივე მაღალპროფესიულ დონეზე ასრულებდა სხვადასხვა კომპოზიტორთა მუსიკალურ ნაწარმოებებს. მის გამო ის საქართველოს ინტელექტუალური საზოგადოების უაღრესად დიდი პატივისცემით სარგებლობდა მუდამ.

Born on July 5, 1927, in the family of the Professor Nikoloz Kakhiani, one of the founders of scientific and practical surgery in Georgia and Teresa (Teka) Machavariani, a well-known gynecologist. He graduated from Tbilisi State Medical Institute with honors in 1951 and pursued studies in postgraduate studies with Asspirant of the Scientific -Research Institute Experimental and Clinical Surgery at Georgia, where he defended candidate dissertation in 1954. and in 1967 - doctoral dissertation. From 1954 he worked as Learned Secretary of the Tbilisi State Academy of Doctor,s Arts. After that he was , as a Dean of the Faculty of Surgery and as an Assistant to the Department of Urgent Surgery of the same institute. From 1967, he served as the head of the Department of Urgent Surgery. In 1962 he was appointed as the Deputy Minister of Health of Georgia, and in 1989 he was the Rector of the Tbilisi State Institute of Doctor,s Arts. Zaal Kakhiani was elected as the first President of the Georgian Academy of Medical Sciences He has more then 300 scientific thesis, monographs and manuel., Also He has 5 inventions and 4 rational proposals. He direct guidance is prescribed by 8 doctoral and 12 candidats dissertstion. He and his brother, Professor Saul Kakhiani was

awarded with the State Prize of Georgia. Also He was performed in a number of high-profile paintings. Similar to high quality esuil level he performed a variety of music composer, due to the intellectual sosaity of Georgia of highly esteem.



გივი დუმბაძე- აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი
Givi Dumbadze- First Vice-President of Academy.

დაიბადა 1925 წლის 16 თებერვალს ქ. ოზურგეთში.

დაამთავრა ლენინგრადის ს.მ. კიროვის სახელობის სამხედრო სამედიცინო აკადემია 1952-1965წწ. იყო საბჭოთა კავშირის არმიაში სამხედრო ექიმის თანამდებობაზე. მინიჭებული ჰქონდა პოლკოვნიკის წოდება. 1965-1969წწ. მუშაობდა ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1969-1985წწ. იყო ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის პათოფიზიოლოგიის განყოფილების გამგე; 1985-1996წწ. მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორად სამეცნიერო დარგში, ხოლო 1996 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად. ის იყო ავტორი 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის ორი მონოგრაფიის.

გივი დუმბაძე იყო საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და უაღრესად დიდი წვლილი აქვს შეტანილი

ამ აკადემიის ჩამოყალიბების საქმეში. გივი დუმბაძე ასევე იყო თბილისის 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის გარემოებათა შემსწავლელი კომისიის წევრი, საქართველოს ომის ვეტერანთა ასოციაციის თავმჯდომარე და საქართველოს პათოფიზიოლოგიათა საზოგადოების თავმჯდომარე. დაჯილდოებული იყო სამამულო ომის I ხარისხის ორდენით და ილარიონ ქართველის მედლით. ის უაღრესად დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა საქართველოს სამედიცინო საზოგადოებაში.

He was born on February 16, 1925 in Ozurgeti. In 1952.

Graduated from Leningrad's S.M. Kirov Military Medical Academy. IN 1952-1965 There was a military Army doctor in the Soviet Union Army, which Polcovnic he was In 1965-1969 he worked as a research at the Sscientific-Research Institute of Traumatology& Orthopedics, 1969-1985. He was the head of the Department of Pathphysiology in the Scientific- Research Institute of Experimental&Clinical Surgery; In 1985-1996 he worked as a PrOrector of Tbilisi State Medical Institute in the field of scientific research. Since 1996 he has been working as a director in the Scientific- Research Institute of Experimental and Clinical Medicine of Tbilisi State Medical University. He was the author of more than 200 scientific works, including two monographs.

Givi Dumbadze was one of the founders of the Academy of Medical Sciences of Georgia and has made a great contribution to the establishment of this academy. Givi Dumbadze was also a member of the commission investigating the circumstances of the Tbilisi, s 1989 9 April tragedy, He also was the Chairman of the Sociaety of II World War, s Veterans and Chairman of the Society of Pathphysiologists of Georgia. He was awarded by Order I of the II World War, Honors Orden of Georgia and Ilarion Georgian Medal.



ხათუსილ III - ხეთების მეფე პროტო ქართული ცივილიზაციიდან, ადამიანთა ისტორიაში პირველ საზავო ხელშეკრულებაზე ხელმომწერი

**Khatushil III- King of itting, proto Georgian civilization's,
the signing of the first bilateral agreement in human history**

ზ.ხელაძე

Z.Kheladze

(ზეთი-Oil,1,7X1,2მ)



რამზეს II- ფარაონი ძველი ეგვიპტის ცივილიზაციიდან, ადამიანთა ისტორიაში პირველ საზავო ხელშეკრულებაზე ხელმომწერი

**Ramsay II- from the Paraoh ancient Egyptian civilization,
The signing of the first bilateral agreement in human history**

ზ.ხელაძე

Z.Kheladze

(ზეთი-Oil,1,7X1,2მ)

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წესდება Regulations of The Georgian Academy of Medical Sciences

მიღებულია საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი კრების მიერ 1994 წლის 4 მარტს (ოქმი N1) რეგისტრირებულია: საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციისსამინისტროს სარეგისტრაციო კოლეგიის მიერ 1994 წლის 7 აპრილის N 2/22 დადგენილებით.

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემია (შემდგომში აკადემია) არის იურიდიული უფლებების მქონე, დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული, საქართველოს რესპუბლიკის კანონებისა და ამ წესდების საფუძველზე მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

2. აკადემიას აქვს თავისი სიმბოლიკა, ბეჭედი და ანგარიში ბანკში. მათ შორის სავალუტო საქმიანობისათვის. აკადემიის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

3. აკადემიაში გაერთიანებული არიან აკადემიის ნამდვილი, საპატიო და საზღვარგარეთული წევრები. რომლებიც სარგებლობენ თანაბარი უფლებებით და რომელთა არჩევის წესს ამტკიცებს აკადემიის დამფუძნებელი კრება. აკადემიის ნამდვილ წევრთა რაოდენობა უცვლელია არ უნდა აღემატებოდეს 30-ს და ახალი წევრების არჩევა უნდა ხდებოდეს მხოლოდ არსებულ ვაკანტურ ადგილებზე.

4. საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად შეიძლება არჩეული იქნას მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელსაც შექმნილი აქვს საერთაშორისო აღიარების მქონე დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის ახალი სამეცნიერო მიმართულება, ნაყოფიერად შრომობს მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის და მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი პრაქტიკული მედიცინის განვითარების საქმეში. აკადემიის უცხოელ წევრად შეიძლება არჩეულ იქნას გამოჩენილი საზღვარგარეთელი მეცნიერი. აკადემიის საპატიო წევრად შესაძლებელია არჩეული იქნას ამავე აკადემიის მოხუცი ასაკის ნამდვილი წევრი.

II. მიზანი და ამოცანები

5. აკადემიის მოღვაწეობის მიზანია საქართველოში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის შექმნა.

6. აკადემიის მოღვაწეობის უმთავრესი ამოცანაა ყველა იმ მეთოდისა და საშუალების შემუშავება და პრაქტიკული რეალიზაცია, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის განვითარებას. მათ შორის:

*განსაზღვროს სამედიცინო მეცნიერების განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები, შეიმუშავოს სამეცნიერო პროგრამები, უზრუნველყოს მათი სრულყოფილი განხორციელება და მიღებული შედეგების პრაქტიკული რეალიზაცია.

*განახორციელოს საკონსულტაციო–საექსპერტო სამუშაოები საქართველოს მთავრობისა და სხვა უფლებამოსილი ორგანოებისათვის სამედიცინო პროფილის გადაწყვეტილებების მიღების დროს.

*განსაზღვროს სამედიცინო პროფილის კადრების მომზადების და პროფესიული დონის ამაღლების უწყვეტი სისტემის ძირითადი მიმართულებები.

*უზრუნველყოს საქართველოში სამედიცინო მეცნიერების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შექმნა

*ხელი შეუწყოს სამედიცინო ბიზნესის განვითარებას და სამედიცინო მეცნიერების ფონდის შექმნას, სამეცნიერო–საგამომცემლო საქმის განვითარებას, საინფორმაციო სამსახურის ორგანიზაციას და სხვა მსგავსი ღონისძიებების განხორციელებას.

*უზრუნველყოს სამედიცინო მეცნიერების მიღწევების პროპაგანდა და მათი პრაქტიკაში დანერგვა. სამეცნიერო კონგრესების, სიმპოზიუმების და სხვა ანალოგიური ღონისძიებების ჩატარება. სამეცნიერო პრემიების დაწესება.

] *უზრუნველყოს დარგში მოღვაწე მეცნიერთა, ექიმთა და სხვა მუშაკთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი პროფესიული და სოციალური უფლებების დაცვა.

*დააფუძნოს ან თავის სისტემაში გააერთიანოს სამეცნიერო საწარმოო, სასწავლო, კომერციული თუ სხვა სახის დაწესებულებანი და ორგანიზაციები, რომელთა მუშაობა ხელს შეუწყობს საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის განვითარებას.

* ხელი შეუწყოს საზღვარგარეთის სამეცნიერო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას ერთობლივი სამეცნიერო სამუშაოების, ინფორმაციის გაცვლის, სპეციალისტთა გაცვლის და სხვა ფორმების სახით.

III. აკადემიის სტრუქტურა და მისი მართვა

7. აკადემიის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება. კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება აკადემიის ნამდვილი წევრთა 2/3. კრებაზე ყველა საკითხი წყდება ღია ან ფარული კენჭისყრით დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.

8. აკადემიის საერთოკრება:

* განიხილავს და ამტკიცებს აკადემიის პრეზიდიუმის ანგარიშს და პროგრამას მომავალი მუშაობისათვის;

* განიხილავს და ამტკიცებს აკადემიის ბიუჯეტს;

* ირჩევს აკადემიის ახალ წევრებს, მათ შორის ნამდვილ, საპატიო და უცხოელ წევრებს.

* ირჩევს აკადემიის პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტს და განყოფილებების ხელმძღვანელებს, რომლებიც ქმნიან აკადემიის პრეზიდიუმს.

* შეაქვს ცვლილებები აკადემიის წესდებაში.

9. აკადემიის მართვის ორგანოს წარმოადგენს საბჭო (პრეზიდიუმი). ის წყვეტს ყველა იმ საკითხს, რომლებიც აკადემიის საერთო კრების კომპეტენციაში არ შედის. საბჭო (პრეზიდიუმი) უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა 2/3. საბჭოზე (პრეზიდიუმი). ყველა საკითხი წყდება ღია ან ფარული კენჭისყრით დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

10. პრეზიდენტი აკადემიის საქმიანობის კოორდინატორია. იგი წარმართავს აკადემიის და პრეზიდიუმის საქმიანობას, წარმოადგენს მას სხვა იურიდიულ პირებთან ურთიერთობისას, აწერს ხელს დოკუმენტებს, დებს ხელშეკრულებებს და სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რაც დადგენი-

ლია მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ორგანიზაციების ხელმძღვანელებისათვის.

11. ვიცე-პრეზიდენტი- ცვლის პრეზიდენტს, აწერს ხელს დოკუმენტებს დებს ხელშეკრულებებს და აგრეთვე წარმოადგენს აკადემიას საზოგადოებასთან და სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობის დროს.

12. სწავლული მდივანი- ხელმძღვანელობს და წარმართავს აკადემიის კრების ოქმების, საბუთებისა და სხვა დოკუმენტების შემუშავებასა და შენახვას.

13. განყოფილების ხელმძღვანელი-წარმართავს აკადემიის შესაბამისი განყოფილების საქმიანობას აკადემიის პრეზიდენტთან და ვიცე-პრეზიდენტთან შეთანხმების შემდეგ.

14. აკადემიის წევრების არჩევა ხდება აკადემიის დამფუძნებელი ან საერთო კრების მიერ დამტკიცებული დებულებით. აკადემიის წევრს აქვს უფლება აკადემიის საბჭოს(პრეზიდიუმი) წინაშე განსახილველად დააყენოს აკადემიის მუშაობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი და მოითხოვოს მასზე სათანადო რეაგირება. აკადემიის წევრები საერთო კრებაზე წარადგენენ ჩატარებული მუშაობის ანგარიშს. აკადემიის ფინანსური მდგომარეობის მიხედვით აკადემიის ნამდვილ წევრებს და სხვა თანამშრომლებს შესაძლო ჩატარებული სამუშაო აუნაზღაურდეთ, აკადემიის საპატიო და საზღვარგარეთელი წევრები სარგებლობენ ნამდვილი წევრობის უფლებით

IV. აკადემიის ფინანსური საქმიანობის საფუძვლები

15. აკადემიის ფინანსები იქმნება დამფუძნებლების შემონატანებისაგან. აკადემიის სამეცნიერო-საწარმოო-სასწავლო-კომერციული საქმიანობისაგან ან ქველმოქმედების შედეგად გადმოცემული თანხებისაგან და სხვა კანონმდებლობით ნებადართული საშუალებებისაგან. აკადემიას შესაძლოა ჰქონდეს კანონმდებლობით ნებადართული უძრავ-მოძრავი ქონება რომელიც ესაჭიროება მას თავისი მიზნების განსახორციელებლად.

V. აკადემიის გაუქმება

16. აკადემიის გაუქმება ხდება საერთო კრების გადაწყვეტილებით. საერთო წევრთა ხმების 3/4-ის უპირატესობით. ლიკვიდაცია და ქონების განაწილება ხდება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

Confirmed by the session of Georgian Academy of Medical Sciences in March 4, 1994 (protocol N1) By registration collegiate of Juristic Ministry of Georgian Republic on April 7, 1994, (resolution N 2/22).

I. General Regulations

1. Georgian Academy of Medical Sciences (later academy) is a social organization based on democratic principles, Georgian legislation and law which owes juridical rights.

2. The Academy has symbol, seal and bank account as well including currency operations. The location of the Academy is Tbilisi.

3. In the Academy there are real, honorable and foreigner members who have identical rights and they are elected by foundation session of the Academy. Number of members must not exceed 30 and elections must be conducted in case of vacancy only.

4. A member of Georgian Academy of Medical Sciences can be a doctor who has PhD degree in Sciences or equal one and has created a new direction of science which has theoretical and practical significance and he/she works productively in preparation and training programs in order to gain qualified scientific personnel. The Academy can choose a foreign citizen as a member if he/she is a well-known scientific representative. An honored member of the Academy can be a reputable old aged real member as well.

II. Aims and tasks

5. The aims of the Academy is to create health care service in Georgia in accordance with international standards.

6. The main task of the academy is to elaborate all methods and means and implement them practically which will promote healthcare service in Georgia.

*Determination of priorities of medical science, elaboration of new scientific programs, provide implementation of them and practical realization.

*Implementation of consultation-expert works with the government of Georgia and other lawful organs while making decisions of medical profile.

* Determination of preparation of medical personnel and improvement of their degree in permanent regimen.

*Provision with a material-technical base of international standards of medical sciences in Georgia.

* Promote development of medical business and fond of medical science, development of scientific-publishing events, organization of information service and etc.

* Provision of propaganda of medical achievements and utilization of them in practice actively. Conduction of scientific congresses, symposiums and similar events, also scientific awards.

* Provision of social condition of scientists, doctors and other employees and protect their professional and social rights.

* To found and integrate scientific, educational, commercial and other institutions in one unified system that will promote medical sciences in Georgia.

* Promotion of elaborations between foreign and local scientific organizations, to share information with them by the way of interchange of specialists and other forms.

III. Structure of Academy and management

7. The supreme organ of the academy is the general session which is allowed if attendants are no less than $\frac{2}{3}$ of real members. All issues are decided in aids of open or latent poll with majority of votes.

8. The general session of the Academy:

* discusses and confirms report of the council (presidium) and program for future actions; -discusses and confirms budget of the Academy;

* elects new members of the Academy including real, honorable and foreigner members;

* elects the President, Vice-President, Learned Secretary and heads of departments which create the council (presidium) of the Academy;

* makes changes in regulations of the Academy;

9. The management organ of the Academy is the Council (Presidium). It decides all issues which are not in the competence of general session; the Council (Presidium). is lawful if attendants are no less than $\frac{2}{4}$. All issues are decided in aids of open or latent poll with majority of votes.

10. The President is the coordinator of the Academy. He/she conducts activities of the Academy and The council (Presidium), represents the Academy while relationships with other juridical persons, signs documents, makes agreements and owes all right which are written in active legislation.

11 Vice-presidenti - is replaced the President, signs documents, makes agreements and serves as an academy with the public and other organizations.

12. The Lernead Secretary shall be guided and maintained by the Academic general session and Council protocols, documents and other documents.

13. The Head of the Department shall direct the activities of the relevant department of the Academy after the agreement with the president and vice-president of the Academy

14. Members of the Academy are elected by foundation or general session. A member of the Academy has a right to discuss and introduce any problem related with the Academy and require an adequate reaction. Members of the Academy make report about activities of the Academy. Honorable and foreigner members have all rights as real members .

V. Bases of financial activities of the Academy

15. Finances of the Academy are created by payments of founders, from scientific-manufacturing activities, educational or commercial ones or charity and others that are written in legislation. The Academy has a right to have movable-unmovable fixtures which are necessary for implementation of personal aims.

V. Abolishment of the Academy

16. Abolishment of the Academy occurs after the decision of general session with advantage of $\frac{3}{4}$ of total votes. Liquidation and distribution of fixture happen in accordance with active legislation.

დებულება საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიაში არჩევნების ჩატარების შესახებ

Statement About elections of Georgian Academy of Medical Sciences

დამტკიცებულია საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი კრების მიერ 1994 წლის 4 მარტს (ოქმი N1)

1. საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიაში არსებობს ნამდვილი, უცხოელი და საპატიო წევრის სტატუსი.

2. ნამდვილ წევრად შეიძლება არჩეული იქნას მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელსაც შექმნილი აქვს

საერთაშორისო აღიარების მქონე დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის ახალი სამეცნიერო მიმართულება, ნაყოფიერად მუშაობს მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადებისთვის და მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი პრაქტიკული მედიცინის განვითარების საქმეში.

3. აკადემიის უცხოელ წევრად შეიძლება არჩეული იქნას გამოჩენილი საზღვარგარეთელი მეცნიერი.

4. აკადემიის საპატიო წევრად შესაძლებელია არჩეული იქნას ამავე აკადემიის მოხუცი ასაკის ნამდვილი წევრი.

5. აკადემიის წევრების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 30–ს.

6. არჩევნების ჩატარების ვადებს განსაზღვრავს პრეზდიუმი, არჩევნების შესახებ შეტყობინება ქვეყნდება პრესაში არჩევნებამდე ერთი თვით ადრე.

7. აკადემიის წევრობის კანდიდატებს წარადგენენ იურიდიული უფლების მქონე სამეცნიერო–კვლევითი კოლექტივები, უმაღლესი სასწავლებლები, სამედიცინო საზოგადოებები, ასოციაციები და სხვა ორგანიზაციები, რომელთა წევრიც არის წარსადგენი კანდიდატი. წარდგენას მხარი უნდა დაუჭიროს დამსწრეთა უმრავლესობამ. კენჭისყრის ფორმას განსაზღვრავს წარმდგენი დაწესებულება. ასეთივე უფლებით სარგებლობენ აკადემიის ნამდვილი წევრები.

8. აკადემიაში ახალ წევრთა მიღებასთან დაკავშირებით შემოსული მასალები გადაეცემა შესაბამისიგანყოფილებისხელმძღვანელებს.

9. აკადემიის შესაბამისი განყოფილება პერსონალურად განიხილავს რა თითოეული კანდიდატის მონაცემებს, ღია ან ფარული კენჭისყრით, ხმის უმრავლესობით წარადგენს ცალკეულ კანდიდატებს აკადემიის საერთო კრებაზე ნამდვილ წევრად ასარჩევად. ნამდვილ წევრად არჩევისათვის რეკომენდაციის მიცემისას კენჭისყრაში მონაწილეობენ აკადემიის ნამდვილი წევრები.

10. აკადემიის ნამდვილ, უცხოელ და საპატიო წევრთა არჩევნები ტარდება აკადემიის საერთო კრებაზე ფარული კენჭისყრით. საერთო კრება უფლებამოსილია ჩაატაროს არჩევნები აკადემიის ნამდვილ წევრთა შემადგენლობის 2/3–ის დასწრების შემთხვევაში. ამასთან, აკადემიის საერთო კრების შემადგენლობაში არ შეიძლება შეყვანილი იქნან ის ნამდვილი წევრები, რომლებიც არჩევნების დროს იმყოფებიან საზღვარგარეთ

მივლინებით. საერთო კრების შემადგენლობაში ასევე არ შეიძლება შეყვანილი იქნას ის ნამდვილი წევრები, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა გამორიცხავს სხდომებსა და კენჭისყრაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას.

11. აკადემიის პრეზიდენტი აცნობს აკადემიის საერთო კრებას აკადემიის ნამდვილ წევრად წამოყენებულ პირთა სიას, დასკვნებს მათ სამეცნიერო შრომებზე, განყოფილების რეკომენდაციებს და სხვა სათანადომასალებს.

12. საერთო კრებაზე ნამდვილი, უცხოელი და საპატიო წევრის არჩევნებში მონაწილეობისა და გადამწყვეტი ხმის უფლება აქვთ მხოლოდ აკადემიის ნამდვილ წევრებს. აკადემიის ნამდვილ წევრად არჩეულად ითვლება პირი რომელიც მიიღებს არჩევნებში მონაწილეთა ხმების უმეტეს რაოდენობას.

13. აკადემიის საერთო კრებაზე ნამდვილი წევრის არჩევისას ფარული კენჭისყრისთვის რიგდება ბიულეტენები–არჩევნებში დაშვებული ყველა კანდიდატის გვარის აღნიშვნით. ბიულეტენებში კანდიდატების გვარების გასწვრივ აღინიშნება ორი სიტყვა: "თანახმა ვარ" და "არ ვარ თანახმა" რომელთაგან ამომრჩეველმა ერთი უნდა გადახაზოს. სხვა აღნიშვნები ან აღნიშვნის გარეშე ბიულეტენი ჩაითვლება ბათილად.

14. თუ კენჭისყრის პირველ ტურში კანდიდატებმა ვერ მიიღეს ასარჩევად აუცილებელი ხმათა რაოდენობა, მაგრამ მოაგროვეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების არა ნაკლებ ნახევრისა ან ერთ ადგილზე ორმა და მეტმა კანდიდატმა მიიღო ხმების თანაბარი რაოდენობა, ასეთ შემთხვევაში ინიშნება განმეორებითი ტური.

15. ხმების დათვლას აწარმოებს ხმის დამთვლელი კომისია. ხმის დამთვლელი კომისიის წევრები აირჩევიან ნამდვილ წევრთაგან ღია კენჭისყრით.

16. ხმის დამთვლელი კომისიის ოქმს ამტკიცებს აკადემიის საერთო კრება. საერთო კრებისა და ხმის დამთვლელი კომისიის ოქმები ფარული კენჭისყრის ბიულეტენებთან ერთად ინახებპრეზიდიუმში.

17. არჩევნების შედეგები ქვეყნდება პრესაში.

18. აკადემიის საპატიო და საზღვარგარეთელი წევრობის კანდიდატურა წარმოდგენილი უნდა იყოს აკადემიის ნამდვილი წევრის მიერ; საპატიო და საზღვარგარეთელი წევრის არჩევნები ტარდება აკადემიის საერთო

კრებაზე. ქვორუმი და კენჭისყრის წესი ისეთივე რჩება, როგორც ნამდვილი წევრის არჩევისას.

19. მეცნიერები, რომლებიც არჩეული არიან წინამდებარე დებულებით, სარგებლობენ აკადემიის წევრებისათვის დადგენილი უფლებებით დღიდან მათი არჩევისა აკადემიის საერთო კრების მიერ და ლებულობენ დადგენილი ნიმუშის მოწმობას.

20. აკადემიის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის და განყოფილებების ხელმძღვანელების არჩევა ხდება 5 წელიწადში ერთხელ საერთო კრების მიერ. მათი კანდიდატურის წარდგენა შეუძლია თითოეულ აკადემიკოსს ან აკადემიკოსთა ჯგუფს. ალტერნატიული წინადადებების შემთხვევაში კენჭისყრა ფარულია. არჩეულად ითვლება ის ვინც მოაგროვებს ხმების რაოდენობის უმრავლესობას მაგრამ არანაკლებ დამსწრეთა ხმების ნახევრისა. თუ გამარჯვებული ვერ გამოვლინდა პირველ ტურში, მაშინ კენჭისყრა ტარდება მომდევნო ტურში. ამ შემთხვევაში კენჭისყრაში მონაწილეობს მხოლოდ ის ორი კანდიდატი რომელთაც შეაგროვეს ხმების უმეტესი რაოდენობა.

Confirmed by the session of Georgian Academy of Medical Sciences in March 4, 1994 (protocol N1)

1. In Georgian Academy of Medical Sciences here are statuses of real member, honorable member and foreigner ones.
2. A member of Georgian Academy of Medical Sciences can be a doctor who has PhD degree in Sciences or equal one and has created a new direction of science which has theoretical and practical significance and he/she works productively in preparation and training programs in order to gain qualified scientific personnel.
3. The Academy can choose a foreign citizen as a member if he/she is a well-known scientific representative.
4. An honored member of the Academy can be a reputable old aged real member as well.
5. The number of members of the Academy of Sciences must not exceed 30 persons.
6. Timeline of elections is determined by the presidium; Notification about elections is released in press of the republic no later than one months before election;
7. The candidates may include following: scientific-research collectives of juridical rights, state institutes, scientific societies, associations a member of which is a represented candidate. Application must be promoted by majority of attendants. A form of voting is determined by representative institution.
8. Materials about new candidates will be sent to heads of executives of corresponding departments.

9. The corresponding department will discuss data about each candidate personally and in aids of latent poll by the majority of votes it chooses certain candidates and then they are represented on general session to be elected as real members. In these elections only real members can vote and take part in.
10. Elections of real, honorable and foreigner members are conducted in aids of latent poll. The general session is allowed to elect if 2/3 of real members of academy attends the session. In this elections members which are absent because of being on a mission or health problems must not be included.
11. The President of the Academy will introduce a list of probable members, conclusions about their achievements in scientific sphere, recommendations of department and other needful materials.
12. In elections of a real member a deciding vote is given to real members of the Academy only; A person can be considered as a real member of the Academy if he/she receives majority of votes.
13. For election of a real member bulletins are given to voters which include all surnames of candidates and along them there are written two sentences: "I am agree " or "I am not agree" and real members must choose one of them. Any other marks are not allowed.
14. If in the first tour candidates could not collect needed votes and they managed to gain votes no less than half of electors or there are two candidates to be elected in a position, then the second tour of elections is conducted.
15. Votes are counted by counter board. Members of counter board are chosen by open poll among real members.
16. Protocols of counter board are confirmed by general session of the Academy and they are saved in Council (Presidium) along with bulletins.
17. Results are published in press of the republic.
18. A candidacy of honorable member and foreigner member must be represented by real member of the Academy and elections are conducted at general session of the Academy. The rules are the same as mentioned above
19. Scientists which are elected by previously discussed statements have all rights of membership of the academy and they are given the document and ensign.
20. Election of the President of the Academy occurs once in 5 years by the general session. A candidate can be represented by any academician or group of them. In case of alternative propos

**საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის
გარდაცვლილი წევრები
Died Members of The Georgian Academy of Medical Sciences**

1. კახიანი ზაალ ქირურგია, პრეზიდენტი
Zaal Kakhiani-Surgery, Prezident
2. დუმბაძე გივი - პათოლოგია, ვიცე პრეზიდენტი,
Dumbadze Givi- Vice –President, Patology,
3. ბახუტაშვილი ვლადიმერ –ვირუსოლოგია, ვიცე პრეზიდენტი,
Bakhutashvili Vladimer-Virusology, Vice-Prezident
4. ტატიშვილი გურამი-ქირურგია. ვიცე-პრეზიდენტი
Tatishvili Guram-Surgery, Vice-Prezident
5. დეკანოსიძე თამარ – პათოლოგია
Dekanosidze Tamar - Patology
6. ასათიანი არჩილ - ფიზიოლოგია
Asatiani Archil –Physiology
7. იოსელიანი თეიმურაზ - ფიზიოლოგია
Ioseliani Teimuraz - Physiology
8. ოკუჯავა ვაჟა, ფიზიოლოგია
Okujava Vazha-Physiology
9. ჯავახიშვილი ნინო - მორფოლოგია
Javakhishvili Nino -Morphology
10. ჭანიშვილი თეიმურაზ -მიკრობიოლოგია
Chaniashvili Teimuraz - Microbiology
11. ონიანი თენგიზ - ფიზიოლოგია
Oniani Tengiz - Physiology
12. თურმანაული გივი -ფარმაკოლოგია
Turmanauli Givi -Pharmacology
13. ყიფიანი ვახტანგ - ფიზიოლოგია
Kipiani Vakhtang - Physiology
14. ყურაშვილი ვიტალი - მიკრობიოლოგია
Kurashvili Vitali - Microbiology
15. გაბუნია უჩა - პათოლოგია
Gabunia Ucha - Patology
16. ნადარეიშვილი კიაზო – ბიოფიზიკა, განყოფილების ხელმძღვანელი
Nadareishvili Kiazo - Byophysic, Hed of Department
17. ციცქიშვილი მარადი - ბიოფიზიკა
Tsitskishvili Maradi - Byophysic

18. ზურაბაშვილი ზურაბი -პათოლოგია
Zurabashvili Zurab- Pathology.
19. ვასაძე გაიოზ –ბიოფიზიკა ექსპერტთა საბჭოს ხელმძღვანელი,
Vasadze Gaioz- Biophysic, Had of Expert Comission
20. აბდუშელიშვილი გივი-ანთროპოლოგია
Abdushelishvili Givi -Antropology
21. ხატიაშვილი ნიკოლოზ -ფიზიოლოგია
khatiashvili Nikoloz -Phisiology
22. სააკაძე ვადიმ- პროფილაქტიკური მედიცინა
Saakadze Vadim– Prophylactic Medicine
23. ჭუმბურიძე ირაკლი-კარდიოლოგი, განყოფილების ხელმძღვანელი
Chumburidze Irakli-Cardiology, Chair of Department
25. ბოცვაძე ეთერი-ინფექციონისტი
Botsvadze Etery-Infectionyst
26. კავთრაზე ვახტანგი-კარდიოლოგია
Kavtaraze Vaxtang-Cardiology
27. გაბაშვილი ვლადიმერი-ნევროლოგია
Gabashvili Vladimer-Neurology
28. ზაკარიაძე თენგიზ-თერაპია
Zakariadze Tengiz-Therapy
29. რაჭველიშვილი ბაადური-თერაპია
Rachvelishvili Baadur- Terapy
30. ტვილდიანი დავითი-კარდიოლოგია
Tvildiani David-Cardiology
31. შეჭირული ლუბა-დერმატოლოგია
Shetsiruli Luba-Dermatology
32. გიორგაძე ალექსანდრე -რენტგენოლოგია და რადიოლოგია
Giorgadze Alexandre - Rendgenology&Radiology
33. ბოჭორიშვილი ვახტანგი-ინფექციონისტი
Bochorishvili Vakhtang- Infectionyst
34. გურგენიძე გურამი-ალერგოლოგია
Gurgenidze Guram-Alergology
35. ტატიშვილი ნუგზარი-თერაპია
Tatishvili Nugzar-Therapy
36. ყიფშიძე ნოდარი-თერაპია
Kipshidze Nodar- Therapy
37. გამყრელიძე შოთა-ფსიქიატრია
Gamkrelidze Shota -Phsichiatry

38. ლაჭყევიანი ავთანდილი-ნევროლოგია
Lachkepiany Avtandil- Neurology
39. გურგენიძე რევაზი-ოფთალმოლოგია
Gurgenidze Revaz-Ophtalmology
40. იოსელიანი გიორგი-ქირურგია
Ioseliani Giorgi-Seurgery
41. ჩარკვიანი ლევანი - ონკოლოგია
Charkviani Levani -Oncology
42. თოდუა ფრიდონი- რენტგენოლოგია და რადიოლოგია
Todua Fridon - Rendgenology&Radiology
43. გაგუა რევაზი- ონკოლოგი, განყოფილების ხელმძღვანელი
Gagua Revaz -Onkology, Head of Depratment
44. ყუფარაძე მიხეილი- ფთიზიატრია
Kufaradze Mikheil-Phtysiatry.
45. გოგუაძე ჯემალი-ტრავმატოლოგია
Gogvadze Jemal-Traumatology
46. ბრეგაძე ალექსანდრე-ქირურგია
Bregadze Aleqsander-Seurgery
47. ხეჩინაშვილი სიმონი- ოტო-რინო-ლარინგოლოგია
khechinashvili Simon -Oto-Rino-larigology
48. ვეფხვაძე რევაზი-რენტგენოლოგია და რადიოლოგია
Vefchvadze Revaz – Rendgenology &Radiology
49. გელბახიანი გედი-თერაპია
Gelbakhiany Gedy-Therapy
50. ალექსანდრე სიხარულიძე-ფიზიოლოგია
Alecsander Sykharulidze-Physiology
51. მოსიძე ვახტანგი-ფიზიოლოგია
Mosidze Vakhtang- Physiology
52. ხანანაშვილი მიხეილი- ფიზიოლოგია
Khananasvili Mikheil- Physiology
53. დავით საყვარელიძე-დერმატოლოგია და ვენეროლოგია
David Sakvarelidze-dermatology&Venerology
54. გიორგი ქავთარაძე-თერაპია,
Giorgi Kavtaradze-Therapy, Died



ყვერთნ ხეთელი-მოქალაქე პროტო ქართული ხეთების სამეფოდან-მან მიჰყიდა აბრაამს სარას საფლავის მიწა

Kefron khethel -Citizen from the proto Georgian Hitting kingdom's,- he sold to Abraham the place for the Sarah's tomb.

ზ.ხელაძე

Z.Kheladze

(ზეთი-Oil,1,7X1,2m)



აბრაამი ისრაელიდან-მან ყევრონ ხეთელისგან იყიდა ადგილი სარას საფლავისთვის.

Abraham from Israel, He bought from Kefron Kheteli a place for Sarah's tomb

ზ.ხელაძე

Z.Kheladze

(ზეთი-Oil,1,7X1,2m)

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ამჟამინდელ წევრთა სია და მათი ბიოგრაფიული მონაცემები
List of current members of the Georgian Academy of Sciences and their biographical data

• აკადემიის საბჭო

The council (Presidium) of Academy

1.რამაზ ხეცურიანი-აკადემიის პრეზიდენტი,მორფოლოგია

Ramaz Khetsuriani-President of Academy,Morphology.

2.ზურაბ ხელაძე –აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

Zurab Kheladze-Vice-President of Academy,Critical Care Medicine

3.ნოდარ გოგებაშვილი-თეორიული მედიცინის განყოფილების

ხელმძღვანელი

Nodar Gogebashvili-Head of Department of The Theoretical Medicine,Immunology

• თეორიული მედიცინის განყოფილება

Department of the Theoretical Medicine

1.ნოდარ გოგებაშვილი (განყოფილების ხელმძღვანელი)–იმუნოლოგია

Nodar Gogebashvili-head of Department of The Theoretical Medicine, Immunology

2. რამაზ ხეცურიანი (პრეზიდენტი)–მორფოლოგია

Ramaz Khetsuriani-President,Morfology.

3.გურამ ბეცია - ფიზიოლოგია

Guram Becaia,Fisiology

4.ბესარიონ კილასონია - სასამართლო მედიცინა

Besarion Kilaconia –Forensic Medicine

5.რამაზ შენგელია - მედიცინის ისტორია

Ramas Shengelaia-Hystory of Medicine

6.დმიტრი წვერავა - რეაბილიტაცია

Dimitry Tsverava-Reabilitation

7.ვახტანგ მეუნარგია- მიკრობიოლოგია

Vaxtang Meunargya-Microbiology

8.ომარ ხარძეიშვილი- პათოლოგია

Omar Khardseishvili-Patology

• კლინიკური მედიცინის განყოფილება

Department of Clinical Medicine.

1.ზურაბ ხელაძე–(ვიცე-პრეზიდენტი),კრიტიკული მედიცინა

Zurab Kheladze-Vice-President, Critical Care Medicine

2. შოთა ჯაფარიძე -ოტო-რინო-ლარინგოლოგია
Shota Djaparidse-Oto-Rino_larigology
3. გია გოკიელი - ქირურგია
Gia Gokieli-Seurgery
4. ნოდარ ლომიძე -ქირურგია
Nodar Llomidze – Seurgery
5. დავით ტატიშვილი-რეაბილიტაცია
David Tatishvili-Reabilitology
6. რამაზ კუტუბიძე -ბავშვთა ქირურგია
Ramaz Kutubidze-Chyldrens Seurgery
7. პალიკო კინტრაია--გინეკოლოგია
Palico Kintraia-Gynecology
8. მამუკა ზოდელავა-ჰემატოლოგია
Mamuca Zodelava-Hematology
9. ნოდარ ემუხვარი -კარდიოლოგია
Nodar Emuxvary-Cardiology
10. ლაური მანაგაძე –უროლოგია
Laury Managadze-Urology
11. გია თომაძე – ტრანსპლანტოლოგია
Gia Tomadze-Transplantology
12. ზვიად ხელაძე – კრიტიკული მედიცინა
Zviad Kheladze-Critical Care Medicione
13. ალექსანდრე ქისტაური –თერაპია
Alecsander Kistaury-Therapy
14. ყარამან ფაღავა- პედიატრია
Karaman Fagava-Pediatry
15. ალექსანდრე ალადაშვილი–ინვაზიური კარდიოლოგია
Alecsander Aladashvily - Invasyv Cardiology
16. ალექსანდრე ცალუღელაშვილი –ონკოლოგია
Alecsander Tsalugelashvily-Oncology
17. გია სვანიძე – რენტგენოლოგია და რადიოლოგია
Gia Svanidze-Rendgenology&Radiology
18. დუდანა გაჩეჩილაძე - რენტგენოლოგია და რადიოლოგია
Dudana Gachechiladze- Rendgenology&Radiology
19. ნიკოლოზ (ნუკრი) კინტრაია–გინეკოლოგია
Nicoloz Kintraia –Ginecology
20. ილია გოცაძე-ქირურგი-ონკოლოგი
Ilia Gotsadze-Surgeon Oncologist



რამაზ ხეცურიანი-აკადემიის პრეზიდენტი
Ramaz Khetsuriani-President of Academy

პერსონალური ინფორმაცია

დაბადების თარიღი და ადგილი: 1949 წლის 14 მაისი, საქართველო, ცაგერი.

განათლება

1956-1966–ქ.ქუთაისის 31-ე საშ. სკოლა დაამთავრა ოქროს მედალზე

1967-1973–თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი დაამთავრა წითელ დიპლომზე

1973-1976– სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ასპირანტი ანატომიის კათედრაზე

შრომითი საქმიანობა:

1973-1976–თბილისის სახელმწიფო. სამედიცინო ინსტიტუტის ნორმალური ანატომიის კათედრის ასპირანტი

1978-1985–თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ნორმალური ანატომიის კათედრის ასისტენტი

1985-1990–თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ნორმალური ანატომიის კათედრის დოცენტი
 1990 – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ნორმალური ანატომიის კათედრის პროფესორი
 1996 –თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ნორმალური ანატომიის კათედრის გამგე
 1991-1992–თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორი ინტერნატურისა და კლინიკური მუშაობის დარგში
 1992-2005–თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი
 2006 –თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ნორმალური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

სამეცნიერო ხარისხი:მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

სამეცნიერო წოდება:პროფესორი

სამეცნიერო შრომები: 165,აქედან ბოლო 10 წელიწადში 51, მათ შორის 9 სახელმძღვანელო, 6 მონოგრაფია,ასევე არის ერთი პატენტის ავტორი და მისი ხელმძღვანელობით დაცულია 3 სადისერტაციო ნაშრომი.

სადისერტაციო საბჭოს წევრობა:

ბოლო 10 წლის განმავლობაში მორფოლოგიური სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე

სამეცნიერო აკადემიების, სამეცნიერო საბჭოების წევრობა:

1. უმაღლესი სკოლის საერთაშორისო აკადემია (1995 წ)
- 2.აშშ “მეცნიერების, ინდუსტრიის და განათლების საერთაშორისო აკადემია” 1996წ
3. ალბერტ შვაიცერის მსოფლიო სამედიცინო აკადემიის წევრი
4. პოლონეთის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის წევრი
5. იუნესკოს მედიკო-ბიოლოგიური აკადემიის წევრი
6. საქართველოს მედიცინის. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

ძირითადი სამეცნიერო მიმართულებები და მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევები:

1.პლაცენტის სისხლძარღვთა მორფო-ფუნქციური თავისებურებები ორსულობის სხვადასხვა ეტაპზე და მშობიარობის წინა პერიოდში
 ა)პირველად იქნა დადგენილი პლაცენტის სისხლძარღვთა ასაკობრივი თავისებურებების დამოკიდებულება დედის ორგანიზმის გულ-სისხლძარღვთა სისტემის თავისებურებებთან.

ბ)ახსნილი იქნა მნიშვნელოვანი თეორიული ფუნდამენტური კონცეფციის “ნაყოფის ჟანგბადით მომარაგების რეგულირების” ფიზიოლოგიური და მორფოლოგიური საფუძვლები.

გპირველად იქნა დადგენილი, რომ, ნაყოფის სისხლის მიწოდების მარეგულირებელი, მორფოლოგიური მექანიზმი ჭიპლარის აღნაგობის თავისებურებაში მდგომარეობს.

2.ავტორმა და მისმა მოსწავლეებმა მნიშვნელოვანი ანტროპოლოგიური კვლევების საფუძველზე, დინამიკაში შეისწავლეს ქართველ ახალშობილთა აქსელერაციის საკითხები, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსასწორებლად.

საერთაშორისო კვლევებში მონაწილეობა:

სიცოცხლის გახანგრძლივების და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების გზა კავკასიური დღევრძელობის ფენომენისა და ქართული ტრადიციული მედიცინის გამოცდილების საფუძველზე

ASTC პროექტი № 6 895 2003-2007 წწ

მორფოლოგიური კვლევის მთავარი ექსპერტი.

საერთაშორისო კონგრესები და კონფერენციები:

1. A Critical Appraisal of Medical Education. Linkoping, Sweden 29 August 1 September 1999

2. Horizon Scanning in Medical Ed. 2020 vision. Beer sheva, Israel 27-30 August 2000

3. Medical Education and Standards at a Time of Change. Humboldt University, Berlin, Germany, 2-5 September 2001

4. Approaches to better Teaching. University of Lisbon, Portugal 29 August 1 September 2002

5. Relevance in Medical Education. University of Bern, Switzerland 31 August 3 September 2003

6. Linking health promoting programmes with public policies

წიგნის, კრებული, ჟურნალის რედაქტორობა, რედაქციის წევრობა:

1.თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, 1993 წ

2.უსწორო კარაბადინი I ტომი, თბილისი 1997 წ

3.Georgian Medical News, 1997 წ

4.ქართული სამედიცინო მოამბე, 1995 წ

საზღვარგარეთ უმაღლეს სასწავლებლებში მიწვევები, სალექციო კურსები:

– ოსაკის უნივერსიტეტი, იაპონია 1994 წ

– ანკარის უნივერსიტეტი, თურქეთი 1995, 1997 წწ

– სტამბულის უნივერსიტეტი, თურქეთი 1996 წ

– ტოკიოს სამედიცინო უნივერსიტეტი, იაპონია 1996 წ

– აშშ ატლანტის უნივერსიტეტი 1995 წ

– აშშ მისურის უნივერსიტეტი 1997, 2003 წწ

– კემბრიჯის უნივერსიტეტი 1998 წ

– პარიზის პარი - 5 უნივერსიტეტი 2000წ

- პარიზის ჰუმბოლტის უნივერსიტეტი 2002 წ
- საფრანგეთის ტულუზის უნივერსიტეტი 2000 წ
- საფრანგეთის რეიმსის უნივერსიტეტი 1998 წ
- ლუვენის უნივერსიტეტი, ბელგია 2002 წ

პროფესიული ასოციაციების, საზოგადოების წევრობა, მათ შორის საერთაშორისო:

- უნივერსიტეტთა საერთაშორისო ასოციაცია–მმართველი საბჭოს წევრი
- ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაცია–ერთ-ერთი დამფუძნებელი (შეიქმნა 1999წ)
- განათლების საერთაშორისო ასოციაცია–წევრი
- მსოფლიო ნატურალისტთა საზოგადოების პრეზიდენტის წევრი
- საქართველოს ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა საზოგადოების წევრი
- საქართველოს ეროვნული აკადემიის ექსპერტი

მთავრობის და საერთაშორისო ჯილდოები:

1. საქართველოს ღირსების ორდენი
2. საქართველოს სახელმწიფო პრემია სახელმძღვანელოსთვის “ნორმალური ანატომია” 1996 წ
3. საერთაშორისო ღირსების ორდენი 1999 წ
4. ალბერტ შვაიცერის ოქროს ჯვარი 1997 წ
5. კემბრიჯის ღირსების ორდენი 1997 წ
6. ალბერტ შვაიცერის დიდი ოქროს მედალი (მიენიჭა კომანდოსის წოდება) 1999 წ
7. მსოფლიო ბიოგრაფიული საზოგადოების “ღირსეული პიროვნების დიდი ოქროს მედალი” 2000 წ
8. კემბრიჯის მედალი “რჩეული 5000-ს შორის”
9. აღ.ნათიშვილის სახელობის პრემია-2018წ.

საპატიო წოდება:

1. საფრანგეთის შამპან-არდენის რეგიონის საპატიო მოქალაქე, 2000 წ
2. მსოფლიო ბიოგრაფიული საზოგადოების თანადირექტორი ევროპიდან (1999 წლიდან)
3. კემბრიჯის და მსოფლიო ბიოგრაფიული საზოგადოების ექსპერტი “უმაღლესი განათლების მენეჯმენტი და მართვა”-ს განხრით

Personal information

Date of Birth: May 14, 1949

Place of Birth: Georgia

Citizenship: Georgian

Education

1956-1966 –31th public school in Kutaisi; Graduated with a Gold Medal

1967-1973 –Tbilisi State Medical University- MD degree; Graduated with an honorary degree

1973-1976 –Tbilisi State Medical University- postgraduate fellow at Anatomy Department

Work Experience:

1973-1976 –Tbilisi State Medical University- postgraduate fellow at Department of Normal Anatomy

1978-1985 –Tbilisi State Medical University- Assistant at Department of Normal Anatomy

1985-1990 –Tbilisi State Medical University-Assistant Professor - Department of Normal Anatomy

1990 – Tbilisi State Medical University - Professor - Department of Normal Anatomy

1996 – Tbilisi State Medical University-Department Head - Department of Normal Anatomy

1991-1992 –Tbilisi State Medical University- Vice Rector of Internal Medicine and Clinical Practice fields

1992-2005 –Tbilisi State Medical University- Rector

2006–Tbilisi State Medical University-Full Professor – Head of Department of Normal Anatomy

Science Degree: Doctor of Medical Sciences,

Science Title: Professor

Publications: 165, in last 10 years-51, 9 manuals, 6 monographs, one patent and 3 Supervising doctoral dissertations: **Member of Science Academies and Councils:**

1. International Academy- Highest School (1995)
2. US International Academy of Science, Industry and Education 1996
3. Albert Schweitzer – Global Medical Academy member
4. National Medical Academy of Poland- member
5. UNESCO- Medical-biological Academy- member
6. President of Academy of Medical Sciences in Georgia

Principal Scientific fields and important research:

1. Morphofunctional characteristics of placental vessels in pregnancy and parturition period

a) For the first time, age-related characteristics of placental vessels were linked to mother's cardiovascular system characteristics.

b) Important theoretical concept- regulation of fetal oxygen delivery was described in physiological and morphological terms.

B) For the first time it was ascertained that according to fetal heart rate, blood delivery regulation system depends on structural characteristics of the umbilical cord

2. The author and his fellows conducted important anthropologic research and studied acceleration process in Georgian newborns, which has an important impact on working on country's demographic issue.

Participation in International Research:

Ways to lengthen life and improve quality of life according to Caucasus traditions and Georgian traditional medicine- ASTC project №6 895 2003-2007

Chief expert of morphologic research

International Congresses and Conferences:

1. A Critical Appraisal of Medical Education. Linkoping, Sweden 29 August 1 September 1999
2. Horizon Scanning in Medical Ed. 2020 vision. Beer sheva, Israel 27-30 August 2000
3. Medical Education and Standards at a Time of Change. Humboldt University, Berlin, Germany, 2-5 September 2001
4. Approaches to better Teaching. University of Lisbon, Portugal 29 August 1 September 2002
5. Relevance in Medical Education. University of Bern, Switzerland 31 August 3 September 2003

6. Linking health promoting programmes with public policies

Editing a book, journal or member of editorial committee:

1. Tbilisi State Medical University- Scientific Articles, 1993
2. "UstoroKarabadini" I part, Tbilisi 1997
3. Georgian Medical News, 1997
4. Georgian Medical News, 1995

Visiting professor in foreign countries, lectures:

- _ University of Osaka, Japan 1994
- _ University of Ankara, Turkey 1995, 1997
- _ University of Istanbul, Turkey 1996
- _ Medical University of Tokyo, Japan 1996
- _ University of Atlanta, USA 1995
- _ University of Missouri, USA 1997, 2003
- _ Cambridge University 1998
- _ University of Paris Descartes, 2000
- _ Humboldt University in Paris, 2002
- _ University of Toulouse, France 2000
- _ University of Reims, France 1998
- _ Leuven University, Belgium 2002

Member of professional associations, including international organizations:

- International Association of Universities- member of executive committee
- Association of European Medical Education – cofounder(founded in 1999)
- International Education Association - member
- Global Naturalists' Association- member of presidium

- Member of Anatomy, Histology and Embryology Association in Georgia
- National Academy of Georgia- expert

Awards from government and international bodies:

1. Georgian Honorary Award № 101324
2. National award for textbook “Normal Anatomy”, 1996
3. International Honorary Award 1999
4. Albert Schweitzer Gold Cross 1997
5. Cambridge Honorary Award 1997. 6. Albert Schweitzer Large Gold Medal (title of Commando) 1999
7. World Biography Society- Large Gold Medal for “Honorary Persona”, 2000
8. Cambridge Medal “Among chosen 5000”
9. Al. Natalishvili Prize -2018

Honorary Titles:

1. Honorary citizen of Champagne-Ardenne region in France, 2000
2. World Biography Society, co-director from Europe (since 1999)
3. Expert at Cambridge and World Biography Society for “Management of Higher Education”



ზურაბ ხელაძე- აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი
Zurab Kheladze-Vice-President of Academy

დაიბადა 1952 წელს, ოზურგეთის პირველი საშუალო სკოლა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი დაამთავრა წარჩინებით. 1975–1978 წლებში იმავე ინსტიტუტში სწავლობდა კლინიკურ ორდინატურაში „ანესთეზიოლოგია–რეანიმატოლოგიის“ – 1990 წელს (დისერტაციის მასალები და დაცვის პროცესი გასაიდუმლოებული იყო საბჭოთა კავშირის უმაღლესი საატესტაციო კომიტეტის მიერ). სტაჟირება აქვს გავლილი მოსკოვის (1978,1980,1985,1986,1987,1988), კიევის, (1990წ), პეტერბურგის(1990) რომის(1991) ნიუ–იორკის(1992), ვაშინგტონის(1992), კაიროს(2005), ტოკიოს(2012) და მსოფლიოს სხვა ქვეყნების კრიტიკული მედიცინის წამყვან კლინიკებში.

საექიმო საქმიანობა დაიწყო აკად. ნ.ყიფშიძის სახელობის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს რეანიმაცია-ინტენსიური თერაპიის განყოფილების ექიმად (19078), შემდეგში კი იყო მის მირ დაფუძნებული ამავე საავადმყოფოს ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (2001). ის ასევე ხელმძღვანელობდა მის მიერ ჩამოყალიბებულ რეანიმაციულ სამსახურს აკად. გ.ბოჭორიშვილის სახელობის სეფსისის საწინააღმდეგო ცენტრში, რომელიც პირველი ამგვარი სამსახური იყო იმ დროისათვის მსოფლიოში. (1983). ასევე მან დაარსა კატასტროფათა მედიცინის საერთაშორისო ცენტრი (1991), რომელიც შემდეგ რეორგანიზებული იყო საქართველოს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტად (1994) და რომლის დირექტორიც ის ამჟამად არის. სხვადასხვა დროს ის ხელმძღვანელობდა თბილისის ცხრა აპრილის ტრაგედიის დროს დაზარალებულების და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ საბრძოლო კონფლიქტებისას დაჭრილ მებრძოლთა მკურნალობის პროცესს ცენტრალურ სამხედრო ჰოსპიტალში. ის ასევე იყო აკად. ო.ღუდუშაურის სახელობის ნაციონალური სამედიცინო ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი(2001), აგრეთვე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მთავარი სპეციალისტი(2001) და ექსპერტი(2015 წლიდან დღემდე) კრიტიკულ მედიცინაში.საერთოდ კი 1975წ-დღემდე- მის მიერ ნამკურნალებია 75000,0 მეტი ავადმყოფი, რომელთა 80% სიცოცხლე შეუნარჩუნდა. პედაგოგიური საქმიანობა მოიცავს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის “ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგიის” კათედრის ასისტენტად (1983), დოცენტად (1988), პროფესორად (1994) და კათედრის გამგედ(1988) მუშაობას. 2001-20016 წლებში ის იმავე ინსტიტუტში (უნივერსიტეტში) აგრეთვე იყო“ ანესთეზიოლოგიის, რეანიმატოლოგიის და კატასტროფათა მედიცინის კათედრის გამგე და მის მიერ დაფუძნებული კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. ამავე წლებში ის ასევე იყო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეზიდენტურის პროგრამის დირექტორი, სასერტიფიკაციო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე და უწყვეტი სამედიცინო განათლების კურსების ხელმძღვანელი კრიტიკულ მედიცინაში. საერთოდ კი. 1978წ-დღემდე მის მიერ აღზრდილია საქართველოს კრიტიკული მედიცინის სამსახურში მომუშავე ექიმთა აბსოლუტურიუმრავლესობა, რომელთა რაოდენობა 700-ზე მეტია. სამეცნიერო საქმიანობა მოიცავს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის “ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგიის” კათედრის რეანიმატოლოგიის საპრობლემო ლაბორატორიის უმცროს მეცნიერ თანამშრომელად (1978), უფროს მეცნიერ თანამშრომელად (1988) და ლაბორატორიის ხელმძღვანელად(1988) მუშაობას. ის ასევე იყო საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის რეანიმატოლოგიის საპრობლემო კომისიის წევრი (1988-),თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის

“ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგიის სადისერტაციო სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე (1989), საქართველოს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე (1994 წლიდან დღემდე), მის მიერ დაფუძნებული თბილისის ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის” News Steps in Critical Care & Catastrophe Medicine” ხელმძღვანელი (1991 წლიდან დღემდე), ასევე მის მიერ დაარსებული რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალის „Critical Care & catastrophe Medicine“ რედაქტორი (2005 წლიდან დღემდე) და ჟურნალ “საქართველოს ქირურგიის მაცნეს” სარედაქციო კოლეგიის წევრი (2016 წლიდან დღემდე). ამასთან ის იყო საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი წევრი და სწავლული მდივანი (1994), რომლის ვიცე-პრეზიდენტიც ის არის 2015 წლიდან დღემდე. 2017 წელს ის იყო მსოფლიოს აკადემიათაშორისო თანამშრომლობა ჯანმრთელობისათვის-პირველი სამუშაო შეხვედრის თავმჯდომარე (2017). 1990 წლიდან დღემდე-მისი ხელმძღვანელობით დაცულია 15 საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია მას მონაწილეობა აქვს მიღებული 100-მდე სამეცნიერო კონგრესის, კონფერენციისა და სხვა სამეცნიერო ღონისძიების მუშაობაში. ის არის 824 სამეცნიერო ნაშრომის, 6 მონოგრაფიის, 7 სახელმძღვანელოს და 31 გამოგონების, პატენტის, რაციონალური წინადადების და მეთოდური რეკომენდაციის ავტორი, რომლებსაც ინტერნეტით დადასურებული ცნობებებით მსოფლიოს 156 ქვეყანაში ყოველდღიურად კითხულობს 57 მეტი პიროვნება, რაც ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია მსოფლიოში. მისი ექსპერტული საქმიანობა მოიცავს საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვის საკანონმდებლო კომისიის წევრად მუშაობას, რომლის დროსაც ის უშუალოდ მონაწილეობდა საქართველოში მოქმედი ჯანმრთელობის დაცვის სფეროს კანონების შემუშავებაში. ასევე ის იყო სახელმწიფო სამკურნალო სტანდარტების შემდგენი კომისიის თავმჯდომარე “ანესთეზიოლოგიაში” და “კრიტიკულ მედიცინაში” (1996), ბიოეთიკის ნაციონალური კომისიის წევრი (2000)), ასევე მის მიერ არის მომზადებული საქართველოს პრეზიდენტის N100 (2001წ) ბრძანებულება-“ადამიანის თავის ტვინის სიკვდილის კრიტერიუმების შესახებ”. ის სისტემატურად ღებუილობს მონაწილეობას კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფთა მკურნალობის პროცესის ექსპერტიზაში საქართველოსა და სხვა ქვეყნებში. ზურაბ ხელაძის პროფესიულ ორგანიზაციებში საქმიანობა მოიცავს მის მიერ კატასტროფათა და კრიტიკულ მდგომარეობათა მედიცინის საქართველოს ასოციაციის დაფუძნებას (1992) რომლის პრეზიდენტიც ის დღემდე არის. ის ასევე არის ინტენსიური და კრიტიკული ზრუნვის მედიცინის ასოციაციების მსოფლიო ფედერაციის წევრი, აგრეთვე ინტენსიური ზრუნვის მედიცინის ევროპის საზოგადოების წევრი და მსოფლიოს გლობალური ალიანსი

სეფსისისათვის დამფუძნებელი წევრი.სხვადასხვა დროს ის მონაწილეობდა ინტენსიური და კრიტიკული ზრუნვის ასოციაციების მსოფლიო ფედერაციის ეგიდით წარმოებული საერთაშორისო პროექტების “ICON” (2015) და “EPIC-3”(2017), აგრეთვე ევროპის ინტენსიური ზრუნვის მედიცინის საზოგადოების ეგიდით წარმოებული პროექტის “Pnevmonia Inspire” (2016) განხორციელებაში რეგიონული ხელმძღვანელის სახით. ის აქტიურად მონაწილეობდა “კრიტიკული მედიცინის” და “კატასტროფათა მედიცინის” სახელით მქონე სამედიცინო საქმიანობების ჩამოყალიბების პროცესში. ასევე მან პროფესორ ზვ.ხელაძესთან ერთად შექმნა პირველი მტკიცებულებანი სიკვდილის სიცოცხლის ავადმყოფობად გამოცხადების და ადამიანის საქმიანობის ახალი სფეროს დაფუძნების შესახებ, რომელსაც "გაახალგაზრდავება" უწოდეს. ასევე მის მიერ ზეთის საღებავებით არის შესრულებული 300-ზე მეტი ფერწერული ტილო პორტრეტებისა და პეიზაჟების სახით.

Born in 1952,He was graduated Ozurgeti first high school and Tbilisi State Medical Institute with honors. In 1975-1978 he studied at the same institut in the “Clinical Ordinate” programs of "Anesthesiology-Rheumatology". Defending Candidate Thesis in 1983 and Doctorate in 1990 (The dissertation materials and the protection process was confidential by the Supreme Attestation Committee of the Soviet Union). He was internships in Moscow(1978,1980,1985,1986,1987,1988), Kiev (1990), Petersburg (1990) Rome (1991) New York (1992), Washington (1992), Cairo (2005), Tokyo (2012) and other cities in Critical Care Medicine leading clinics. The medical practice started as a doctor of the Reanimation&Intensive Therapy department of. acad N.Kipshidze Republic Central Clinical Hospital (1978) and later of the same hospital was head of the Critical Care Medicine Department,which he is founded(.2001). He was also founder and led the Reanimation Service in acad.G.Bochorishvili's Anti-Sepsis Centres, which is the first such service was at the time in the world. (1983). Also, he founded the International Center for Disaster Medicine (1991), which was later reorganized as the Institute of Critical Medicine of Georgia (1994) and its Director to presents. At the different times, he led the treatment process of wounded warriors during the Tbilisi’s 9 April tragedy and war conflicts for Georgia's territorial integrity at the Central Military Hospital. He also was a Member of the Supervisory Board of the National Medical Center of acad O. Gudushauri (2001).At the same time he was Chief Specialist(2001) and Expert (from 2015 to present) in Critical Medicine at the Ministry of Labor, Health and Social Affairs of Georgia (2001) .Generally,sins 1975, he has been treated by 75000,0 more patients,about 80% of which survived. The pedagogical work includes the Asistetent(1983), Dotsent(1988), Professor (1994) and Head of the Chair (1988) at the Tbilisi State Medical Institute's. After that in the same Institute (University) he was also an Head of the Chair of Abesthesiology,Reanimatology& Dis-

aster Medicine and Critical Medicine Department ,which founder he was. The same time he also was Director of the Residency Program, Chair of the Certification Examination Commission and Head of the Continuing Medical Education Courses in the Critical Care Medicine at the Labor, Health and Social Affairs of Georgia. Sins 1978 He has been brought up by an absolute number of doctors working in the Critical Care Medicine of Georgia, which is more than 700..Zurab Kheladze,s scientific activity includes the junior scientific worker (1978), senior scientific worker (1988) and head of the scientific-Research laboratory of Reanimatology (1988) at the Tbilisi State Medical Institute's ,Also he was Member of The Commission of Reanimatology Problems of the Soviet Union Academy of Medical Sciences.(1989). He was also Chairman of the Dissertation Board in “Anesthesiology&Reanimatology” of Tbilisi State Medical University and Chairman of the Dissertation Board of the Georgian Critical Care Medicine Institute (1994 to present).He was founder of the Tbilisi Annual International Scientific Symposium "New Steps in Critical Care& Catastrophe Medicine”,which Chairmen from 1991 to present he is .He was also founder and Chief on editorial board of the reviewed scientific journal "Critical Care & Catastrophe Medicine" (from 2005 to present) and a Member of the editorial board of the reviewed scientific magazine "Georgian Surgery Reviw" (from 2016 until present).He was Founding Member and Scientific Secretary of the Georgian Academy of Medical Sciences (1994), whose Vice-President is from 2015 to present. In 2017 he was of Chairman of the First Workshop of organization of World's Interacademy Partnersyp for health .From 1990 till now - under his leadership 15 Candidate and doctorate dissertation.He participated in the work about of 100 scientific congress,conference and other scientific activities. From 1975 until today he has 824 scientific works,6 monographs, 7 manuals, and 31 author of the invention, patent,rational proposal and methodical recommendations,where which internet report every day read 57 more persons in the 156 countries, that are one of the best indicators in the world. Zurab Kheladze,s expertise work including of the invitation Member of Georgian Parliament's Health Commission(2001).He was also Chairmen of the treatment standards drawn up by the Commission of Anesthesiology and Critical Care Medicine (1996) ,Member of the National Commission for Bioethics (2000)) and he is prepared order N100 (2001) by the President of Georgia on "Criteria for a Human Brain Death " .Zurab Kheladze's work of the professional organizations including the Association of Disaster and Critical Care Medicine of Georgia,which he is founding in 1992 and whose president is to present. He was also a Member of the World Federation of Critical Care &Intensive Care Medicine Associations, Member of the European Society of Intensive Care Medicine and Fonder Member of the Global Sepsis Alliance of the World's. At various times he participated which regional supervisor in the International Projects of the World Federation of Critical Care &Intensive Care Medicine Associations "ICON" (2015) and " EPIC-3 "(2017), as well as the European Intensive Care Medicine Society project "Pneumonia Inspire". It is considered to be one of the founding activities of the “CriticalCare Medicin” and “Catastrophe Medicine”. He also created the first evidence with the professor Zv.Kheladze to announce

the death of life as a disease and to establish a new field of human activity, which he called "Rejuvenatology". It is also done at different times he made by oil paints more than 300 paintings in the form of portraits and landscapes.



ნოდარ გოგებაშვილი- აკადემიის თეორიული მედიცინის განყოფილების ხელმძღვანელი

Nodar Gogebashvili-Hed of department of Theoretical Medicine

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მედიცინის, მედიკო-ბიოლოგიურ და ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ნოდარ გოგებაშვილი დაიბადა 1930 წლის 2 აგვისტოს ქალაქ თბილისში. 1948 წელს დაამთავრა სკოლა ოქროს მედალზე; 1954 წელს კი წარჩინებით დაასრულა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურანლო ფაკულტეტი, რის შემდეგ სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით დატოვებულ იქნა მიკრობიოლოგიის კათედრაზე ასპირანტურაში. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ 1958-1963 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მიკრობიოლოგიის კათედრაზე ასისტენტად. 1962

წლიდან 1996 წლამდე მუშაობდა საქართველოს ტუბერკულოზის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, სადაც თანმიმდევრულად ეკავა ექსპერიმენტული განყოფილების ხელმძღვანელის, კლინიკური და იმუნოლოგიური განყოფილების უფროსი მეცნიერ მუშაკის, ამავე განყოფილების ხელმძღვანელის და ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობები. 1955 წელს არჩეული იყო კ.შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის იმუნოლოგიის და ალერგოლოგიის კათედრის გამგედ, ინსტიტუტის რეორგანიზაციის შემდეგ 2005 წლიდან იყო ამავე აკადემიის მიკრობიოლოგიის კათედრის პროფესორი. 1961 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1970 წელს სადოქტორო დისერტაცია “ტუბერკულოზური ანთების მიმდინარეობის ჰისტოქიმიური და იმუნოლოგიური ფაქტორები” ქალაქ მოსკოვში სსრკ სამედიცინო აკადემიის სამეცნიერო საბჭოზე. დისერტაცია აღიარებული იყო წლის საუკეთესო დისერტაციად და ამავე საბჭოს რეკომენდაციით გამოქვეყნებული იქნა მონოგრაფიის სახით. თავისი მოღვაწეობის პირველ ეტაპზე მან შეისწავლა და დაადგინა სხივური დაავადებების დროს ბაქტერიოფაგიის კანონზომიერებანი, შემდგომ ეტაპზე იწყებს ფართომასშტაბურ კვლევებს ტუბერკულოზის იმუნოლოგიაში. მან პირველმა დაახასიათა ტუბერკულოზის ანტიგენების შემცველი უჯრედული სტრუქტურები და მათი განაწილების დინამიკა; აგრეთვე ანტისხეულების წარმოქმნის უჯრედული საფუძვლები და უჯრედული ტრანსფორმაციები, რომლებიც მიმდინარეობენ არამარტო ლიმფურ ქსოვილში არამედ ფილტვის ქსოვილშიც, რის საფუძველზეც შეიქმნა ჰიპოთეზა ფილტვების, როგორც იმუნოკომპეტენტური ორგანოს შესახებ. მიზანდასახული კვლევების საფუძველზე მან გამიჯნა ტუბერკულოზური ინფექციების მიმდინარეობის სხვადასხვა ფაზა და მოგვცა მათი იმუნოლოგიური და იმუნომორფოლოგიური ცვლილებების სრულყოფილი დახასიათება, რამაც მნიშვნელოვანი წვლილი შემატა ტუბერკულოზის იმუნოლოგიას. მეტად მნიშვნელოვანია გამოკვლევები I ტიპის კოლაგენის მიმართ განვითარებული ავტოიმუნური პროცესის თავისებურებების შესახებ ტუბერკულოზის, ფსორიაზის, პაროდონტიტის და სხვა პათოლოგიური პროცესების დროს. მისი შრომები, რომლებშიც შესწავლილია თანამედროვე იმუნოლოგიის და ინფექციური პათოლოგიის აქტუალური საკითხები არის როგორც თეორიული ისე პრაქტიკული მნიშვნელობის და გამოქვეყნებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მოიხსენება ჩვენი ქვეყნის და უცხოეთის მეცნიერებათა შრომებში, მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებში.

გერმანიის ნაციონალური აკადემიის გამომცემლობის - Lambert Academic Publishing (LAP) აკადემიური შრომების რედაქტორის დაკვეთით დაიწერა მონოგრაფია “Молекулярные, субклеточные и клеточные аспекты патогенеза пародонтита” ნოდარ გოგებაშვილის ხელმძღვანელობით შესრულებული კვლევების, ნინო გოგებაშვილის, ლალი ჯაშის დისერტაციების მასალებისა და შესაბამისი ლიტერატურის (1965 წლიდან - 2016 წლამდე) ანალიზის საფუძველზე. აღნიშნულმა მონოგრაფიამ გერმანიის აკადემიური გამომცემლობის მაღალი შეფასება დაიმსახურა. დასკვნაში ნათქვამია, რომ მონოგრაფიაშია წარმოდგენილია მონაცემები პაროდონტოლოგიაში განვითარებული ანთებადი პროცესების დროს იმუნური პასუხის მოლეკულური, სუბუჯრედული და უჯრედული მექანიზმების შესახებ. დეტალურად არის განხილული იმუნური რეაქციების სხვადასხვა ფორმის (ფაგოციტოზი, ლიზოციტის აქტივობა, ნერწყვის ბაქტერიოციდულობა, ციტოკინები, ინტერლეიკინები, ანტისხეულების წარმოქმნა, უჯრედული რეაქციები), ურთიერთკავშირი პაროდონტში განვითარებული ანთებადი პროცესების დროს. მონოგრაფიულ ლიტერატურაში პირველად არის განხილული კოლაგენის როლი. პირველი ტიპის კოლაგენისადმი განვითარებული აუტოიმუნური პროცესების მექანიზმები პაროდონტის ანთების დროს და მისი კორექციის შესაძლებლობები. გაანალიზებულია და განზოგადოებულია მასალები უჯრედთა მეტაბოლიზმზე ენდოგენური რედოქს-სისტემის გავლენის შესახებ. რეაქციული შენაერთების (ჟანგბადის, აზოტის, ლიპიდების) როლი რედოქსპომეოსტაზის რეგულაციაში და ანტიოქსიდანტური შენაერთების გენების ტრანსკრიპციაში, რომლებიც აკონტროლებენ იმუნურ პასუხს, პროლიფერაციას, დიფერენციაციას და სხვადასხვა ბიოაქტიური მოლეკულის (ანტიოქსიდანტები, იმუნოაქტიური პეპტიდები, NO-სინთეზა და ა.შ.) აქტიურობას და განაპირობებენ ფიზიოლოგიურ და პათოლოგიურ მდგომარეობას მთლიანობაში და კერძოდ პირის ღრუში (მორეციდივე წყლულები, ლეიკოპლაკია, პირის ღრუს სიმსივნეები და პაროდონტის ანთებადი დაავადებები). ამასთან დაკავშირებით გამომცემლობამ ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის აგტორებს გამოუცხადა მაღლობა. წიგნი გამოცემული იქნა 2016 წლის 4 ოქტომბერს. ის შეტანილია გერმანიის ნაციონალური აკადემიის წიგნსაცავში (<https://portal.dnb.de>) და გავრცელებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

ნოდარ გოგებაშვილი არის საერთაშორისო სიმპოზიუმებისა და კონგრესების ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე. 1991 წელს ფტიზიატ-

რთა და პულმონოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით კონგრესის მონაწილეებს ქალაქ ბუდაპეშტში წაუკითხა ლექცია ფილტვების სპეციფიკური და არასპეციფიკური დაავადების დროს იმუნური სისტემის ცვლილებების პათოგენეზური, დიაგნოსტიკური, პროგნოზული მნიშვნელობის და შესაბამისი იმუნოთერაპიის შესახებ. 1995 წელს მიიღო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სერთიფიკატი სპორტული მედიცინის მუშაკებისათვის წაკითხული ლექციების გამო. 1993 წელს ქალაქ ვარშავაში მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ტუბერკულოზთან ბრძოლის საერთაშორისო პროგრამის შემუშავებაში. 1994 წელს მის მიერ შემუშავებული იქნა საქართველოს ტუბერკულოზთან ბრძოლის პროგრამა. ნოდარ გოგებაშვილი არის იმუნოლოგიური კვლევების ფუძემდებელი საქართველოში. 55 წლის განმავლობაში ეწევა სამედიცინო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას. მისი ხელმძღვანელობით აღზრდილია ახალგაზრდა მეცნიერ იმუნოლოგთა მრავალი თაობა და დაცულია 154 საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია, რაც საუკეთესო მაჩვენებელია მსოფლიოში. არის 347 სამეცნიერო შრომის და 4 მონოგრაფიის ავტორი. 1983 წელს არჩეული იყო სსრკ სამედიცინო აკადემიის პრეზიდენტთან არსებული იმუნოლოგიის სამეცნიერო საბჭოს წევრად. მისი ინიციატივით 1984 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს იმუნოლოგთა საზოგადოება და არჩეული იყო ამ საზოგადოების პრეზიდენტად. 1997 – 2006 წლამდე იყო ალერგოლოგების და კლინიკური იმუნოლოგების ასოციაციის თავმჯდომარე, 2006 წლიდან ამ ასოციაციის საპატიო პრეზიდენტი. 1994 წელს არჩეული იყო საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, ამ აკადემიის პრეზიდენტის წევრად და თეორიულ მეცნიერებათა განყოფილების ხელმძღვანელად. იმავე წელს არჩეული იყო მედიკო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის, 1995 წელს კი ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. 1998 წელს არჩეულ იქნა იმუნორეაბილიტოლოგების საერთაშორისო ასოციაციის წევრად.

სამეცნიერო პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მუშაობაში მიღწეული წარმატებებისთვის 1991 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. მშვიდობის განმტკიცების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის 1989 წელს დაჯილდოვებულია მშვიდობის საბჭოთა ფონდის ოქროს მედლით, 1994 წელს საქართველოს სამედიცინო-სამეცნიერო საზოგადოებათა ასოციაციის ზაზა ფანასკერტელის მედლით, 1994 წელს კი ღირსების ორდენით.

Designated Emeritus Research Fellow, honored scientist, and academician of medical, bio-medical and ecological sciences, Professor Nodar Gogebashvili was born in Tbilisi on August 2, 1930. He completed his secondary education with highest honors in 1948 and graduated from Tbilisi State Medical Institute in 1954. Per decision of the Medical Institute Scientific Board, he began his post graduate study at the faculty of Microbiology immediately following the graduation. From 1962 to 1996 he worked at the Georgian Scientific Research Institute of Tuberculosis, where he advanced professionally, holding several different positions, including Head of the Laboratory Department, Senior Scientist of the Clinical and Immunological Department, and Director of Georgian Scientific Research Institute of Tuberculosis. In 1995, Dr. Gogebashvili was elected as Chair of the Department of Immunology and Allergology of Shotadze Tbilisi Medical Academy. After the reorganization of the Institute in 2005, he served as a Professor at the Microbiology Department. In 1961, he defended his Candidate dissertation and in 1970, completed his Ph.D. dissertation titled “Histochemical and Immunological Factors during Tuberculosis,” which was recognized as the best dissertation of the year and was also published as a monograph.

In the initial stage of his career, Dr. Gogebashvili studied and determined peculiarities of bacteriophage during radial disease. Later on, he began a wide-scale research in the area of the immunology of tuberculosis. He was the first among scientists to characterize the cell structure containing tuberculosis antigens and the dynamics of their distribution, as well as the cell origins of antibody formation and cell transformations that took place not only in lymph tissues, but in lung tissues as well. This research led to the development of the hypothesis on lungs being an immunocompetent organ. Dr. Gogebashvili’s targeted and innovative research set apart various phases of tuberculosis infections along with clearly defining their immunological and immune-morphological changes, which significantly contributed to the immunology of tuberculosis.

Among Dr. Gogebashvili’s research, his work on the peculiarities of autoimmune processes in relation to type 1 collagen during tuberculosis psoriasis, periodontitis, and other pathologies is of significant importance. His works discuss current topics of practical and theoretical relevance in immunology and infectious diseases and are published in different parts of the world. They are also often referenced in a number of articles, monographs, and textbooks of Georgian and international scientists and are cited as literature sources by other prominent researchers and scientists.

Most recently, Lambert Academic Publishing (LAP), academic book publishing company in Germany, published Dr. Gogebashvili’s monography titled “Pathogenesis of Periodontitis: Molecular, Subcellular, and Cellular Aspects”. This monography is based on the data analysis of research illustrated in the dissertations of Dr. Nino Gogebashvili and Dr. Lali Jashi under Dr. Gogebashvili’s mentorship as well as various respective literature dated from 1965 to 2016. The monography reflects data in periodontology about molecular, subcellular, and cellular mechanisms of immune reactions at the time of inflammation. It illustrates a detailed discussion of various immune reactions, such as phagocytosis, lysozyme, saliva bactericide, cytokines, interleukins, formation of antibodies, and cell reactions. The monography discusses the role of collagen. More precisely, it addresses the mechanisms of the autoimmune process formed as a result of type I collagen during perio-

dontitis and corrective measures. The work analyses data on cell metabolism affected by endogenous redox system. It also talks about the role of reactive species (oxygen, nitrogen, and lipids) in redox homeostasis and antioxidant gene transcription, which control the immune response, proliferation, differentiation, and bioactive molecular activity (antioxidants, immuno-active peptides, NO-synthase, etc) and determine physiological and pathological condition as a whole and in particular in oral cavity (recurrent ulcers, cancers in oral cavity, leukoplakia, and periodontitis). The publishing company appreciated an opportunity for a productive collaboration and published the book on April 10, 2016. It is included in the German national library catalog (<https://portal.dnb.de>) and is also available in other parts of the world.

Dr. Gogebashvili has organized and taken part in many international conferences. In 1991 at a congress meeting in Budapest, per request of the Presidium of International Association of Phthisiatricians and Pulmonologists, he presented a lecture on the significance of pathogenic, diagnostic, and prognostic changes in the immune system and respective immunotherapy during specific and nonspecific lung diseases. In 1995, Dr. Gogebashvili received a certificate from the International Olympic Committee for the lectures delivered to sports medicine staff. In 1993, together with other prominent scientists, Dr. Gogebashvili took part in the development of an international program promoting efforts against tuberculosis. In 1994, he led the same effort in Georgia and developed a program against Tuberculosis.

Dr. Gogebashvili is a founder of immunological research in Georgia. He has dedicated over 55 years to the medical academia and civil activity. He has educated several generations of immunologists and advised 154 Candidate and Ph.D. dissertations. Dr. Gogebashvili is an author of 347 scientific works and 4 monographs. In 1983, he was elected as a member to the Scientific Board of Immunology of the USSR Medical Academy Council. In 1984, Dr. Gogebashvili founded a Georgian Society of Immunologists and was soon after elected as its President. From 1997 to 2006, Dr. Gogebashvili served as a Chair of the Association of Allergologists and Clinical Immunologists. In 2006, he became the President Emeritus of this association.

In 1994, Dr. Gogebashvili was elected as an Academician of the Academy of Medical Sciences of Georgia. He simultaneously served as a member of the Academy Council and the Head of the Department of Theoretical Sciences. In 1994 and 1995, Dr. Gogebashvili was elected as the Academician of the Academy of Medical Biology and the Academy of Ecological Sciences, respectively. In 1998, Dr. Gogebashvili was elected as the member of the International Association of Immunorehabilitologists.

In 1991, for the outstanding success achieved in his scientific, social, and academic career, Dr. Gogebashvili was awarded the title of Designated Emeritus Research Fellow. For his active participation in enforcing peace, Dr. Gogebashvili was awarded the Golden Medal of Soviet Peace Fund in 1989. In 1994, Dr. Gogebashvili was awarded the Zaza Phanaskerteli Medal of the Association of Georgian Medical and Scientific Societies. In 1999, Dr. Gogebashvili was awarded with the Insignia of Honor.



მედეაკოლხეთიდან: მისი სახელისგან შესაძლოა წარმოდგებოდეს ტერმინი მედიცინა, რომელიც დედამიწის ღმერთის საქმეს უნდა ნიშნავდეს.

Medea from Kolxeti: His name may mean the term “medicine”, which means the work of The God of The Earth.

ზ.ხელაძე

Z.Kheladze

(ზეთი-oil,1,7X1,2m)



ელისეი ხეთების ქვეყნიდან: ის იყო ალბათ პირველი ვინც მკვდარი გააცოცხლა

Elisei from the country of Hittites: He maybe was the first to restored of the dead

ზ.ხელაძე

Z.heladze

(ზეთი-oil,1,7X1,2მ)



კირკეა კოლხეთიდან, რომელმაც საგარაუდოდ ოდისევსი აღადგინა
კუნძულ ლევკოსზე მკვდრეთით.

**Kirkea from Colchis, who probably restored Odisvezes to the island Levcos from
the dead.**

ზ.ხელაძე

Z.Kheladze

(ზეთი-Oil,1,7X1,2m)



გურამ ბექაია
Guram Bekaia

დაიბადა 1929 წლის 28 ოქტომბერს ქ. თბილისში. 1947 წელს ოქროს მედლით დაამთავრა საშუალო სკოლა და ამავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. ის იყო სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს წევრი და თავმჯდომარე, სტუდენტთა რესპუბლიკური და საკავშირო სამეცნიერო კონფერენციების მონაწილე და პრიზიორი. სტუდენტობის პერიოდში გამოაქვეყნა ორი ნაშრომი, მათ შორის - ერთი ექსპერიმენტული. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1953 წლიდან 2005 წლამდე ის მოღვაწეობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში (ასპირანტი, უმცროსი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ინსტიტუტის სწავლული მდივანი, ლაბორატორიის ხელმძღვანელი, დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში). 2005 წლიდან დღემდე ი. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრში არის სამეცნიერო კონსულტანტი. 2009 წლიდან არის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს

